

9772

3-67



ქართველო-კეირუგლი უნივერსიტეტი

№ 1

თელიფონი მეორე

ბაზარი №	950
მდინარე №	1161
ადგ.	9772
რედ. ბაზარი №	9772

ფასი 10 ლარ.

მიღება ხელის მოწერა

აოვალ კვირაში საზოგადო-მათემატიკური



და სალიტერატურო შურალ

„ცოდნა“-ქედ.

1913 წლის იანვრიდან უურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ვ ა ხ ი:

1 წლ. 6 თვ. 3 თვ.	1 თვ.	ცალკე	№	საზღვარ გარედ
5 პან. 2 ა. 75	1 ა. 50	50 კ.	10	ყველა ფასებს ემა-
4 პან. 2.50	1 ა.	40 კ.	10	ტებათ თვეში 5 უ-
				ური გაფასავზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველებს, სტუდენტებს და კომპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ქ ა ბ ე ნ თ გ ი უ რ ქ უ რ ნ ა ნ

„გ ა ნ თ ი ა ჩ ვ ე“

(წელიწადი პირველი)

ქ ა ბ ე ნ თ გ ი უ რ ქ უ რ ნ ა ნ

„გ ი ნ ა უ რ ს ა პ ე მ ე ბ ე ჭ ე“

(წელიწადი მებუთე)

წლიური ფასი უურნალისა ცალკე 5 მანეტი, განეთისა 4 მანეტი, ორივესი ერთად 8 მანეტი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მან. დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

33 (05)

5-67

№ 1

1 იანვარი 1913 წ.

ამ ნომერობან გზავანები
ბა ფულის გადმოსაცემი
ბლანკები. ვისაც 1913
წლ. არ გამოუწერია უსრ-
ნობრი „ბ ლ დ ე“, იან-
ვარიდან აღარ გაეგზავ-
ნება.



შოთალ კვირაული საზოგადო-მართ-
ობის და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლია 10—3 საათ.

სამართლი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „ჩლდე“. დეპუტატი: თბილისი კლდე.

სარჩევი: ჩეხი საჭიროება.— შ. აშირეჯიძისა. — შ. აშირეჯიძისა. — ალ. ყიფშიძისა. ახალ-
გაზრდითი ფალდებულისა. — ლევის კ. მაყაშვილისა. უკანასკნე-
ლი შექი. — ეკ. გაბაშვილისა. ქრონიკა. ქადაგა
საკითხი. — რ. გ—ესი. ჩეხი „საზოგადოებათა“
შიმოხილება. — მროველისა. საქართველოს საის-
ტორით და საქონიგრაფით საზოგადოება. ინ—
სანისა. სხვისა მასიმანებულება. (თარგმ. ჯერმა-
ჯერმიძან) ი. სონლულაშვილისა.

იმით, რომ თანამედროვე საზოგადოებამ უკვე გარ-
კვეულად იცის ქთავისი წადილი. ექვი არ არის, რომ
ამ შეგნებას ჯერ კიდევ ბევრი რომ აკლია. საჭიროა
ეს შეგნება იქცეს მტკიცე პოლიტიკურ აზრიდ;
მხოლოდ მაშინ იქნება ეს შეგნება ცხოველმყოფე-
ლი და დანიშნულება ჩვენის დროის სწორედ ეს
არის.

ჩვენ გვესაჭიროება დიდი სამზადისი ადგილობ-
რივ, და რაღანაც პოლიტიკური, ეკონომიკური და
კულტურული განვითარება უერთმანეთოდ არ ხდება,
ამიტომ ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ ჩვენს ცხოვ-
რებისთვის, რომელს უფრო აქვს უპირატესობა, დე-
პუტატს, მეურნეს, თუ მასწავლებელს.

მოგვითხრობენ ერთ ანეკდოტს მოძრაობის დრო-
იდან. გლეხმა უთხრა აზნაურს: — ჰი, შე ჩემ ზურგ-
ზედ გასუქებულოთ! აზნაური ცოტა გონება მახვი-
ლი გამოდგა და უპასუხა: შენ ზურგზედ მეტენარი
ვერ გასუქებულა, მე როგორ გასუქდებოდით! რო-
გორი ცინიკურიც უნდა იყოს ეს ანეკდოტი, მასში
მაინც გასაოცარის სიცხადით არის გამოხატული
სიღატაკე ჩვენის გლეხისა და რაღანაც ჩვენი ქვეყ-
ნის უმრავლესობის გლეხობა შეადგენს — მთელი ქვე-
ყანისაც. ამ ანეკდოტში გამოიხატა არა მარტო ის
ირონია, რომლითაც უცქერის უკველი გაბატონე-
ბული კლისი მდაბით ხალხს, არამედ უცნაურობაც
ჩვენის ეკონომიკის დამოკიდებულობისა. როცა
არსებობს ისეთი კლისი, რომლის მეოხებით უზრუნ-
ველად სცხოვრობს ნაწილი ერისა, მაშინ ეს ნაწი-

ჩეხი საჭიროება

მოუხედავად ჩეხი უურნალის ხან მოკლე არსე-
ბობისა, ჩეხი იძულებული ვიყავით აგვენიშნა იმ-
დენი საჭიროება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ
ხასიათისა, რომ მათ სისრულეში მოყვანისა და გან-
ხორციელებისათვის, რამდენიმე თაობის შრომა იქ-
ნებოდა საჭირო.

ეს ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს ჩვე-
ნი ცხოვრების გართულებას და მრავალფერობას. თა-
ნამედროვე ქართველი საზოგადოება ის აღარ არის, რაც იყო თუ თუ ათის წლის წინად. შეიცვალ-
ნენ ადამიანები, შეიცვალნენ ფაქტები. ძნელი წარ-
მოსადგენია სადამდის მიაღწევს განვითარება ჩვენის
საზოგადოებისა, მაგრამ ერთი რამ აშკარა და ცხა-
დია — წარსულ თაობათაგან ჩვენ განვსხვავდებით

ლი მაინც უნდა იყოს „გასუქებული“ — ან ეკლოტის სიტყვა რომ ვიხმაროთ. ნამდვილად კი არც ეს გაბატონებული კლასია გასუქებული. ქართველი თავად-აზნაურობა აქამდისაკე ფარაონის იმ შვიდ მჭლე ძროხას მოგვაგონებს, რომლებიც მუცელში იდებენ სხვა შვიდ მსუქან ძროხას და მაინც მჭლე რჩებოდა. როცა, მიუხედავად კლასთა და წოდებათა არსებობისა, ქვეყანაში არ არსებობს სიმდიდრე თვით გაბატონებულ კლასში მაინც, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ საწარმოვო ძალები ქვეყნისა ფრიად სუსტნი არიან. ასეთი გარემოება კი ძალაუნებურად გვაყენებს ჩვენ კლასთა და წოდებათა ინტერესებზედ მაღლა და ჩვენი მზრუნველობის წინა რიგში აყენებს საზოგადო მდგომარეობას მთელის ქვეყნისას. დასკვნა ერთია: ჩვენ ვვიხსნის მხოლოდ სიმდიდრე, რომელიც იმავ დროს არის მატერიალური წონა თანამედროვე კულტურისა.

წავიდნენ ის დრონი, როცა ერების სიმდიდრე სიგმირეში მდგომარეობდა და გმირობა კი არსებობის ერთიად ერთი ნიჭი იყო. თანამედროვე ერმა დიდი ხანია დაკარგა გმირ რაინდის სანახობა და იგი ეხლა უფრო გასათხოვარი ქალია, რომლის მშვენიერება მზითევის რაოდენობით იზომება.

საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზედ, თუ გაუნათლებლობაა მიზეზი ჩვენის სიღარიბისა, თუ სიღარიბები მიზეზი ჩვენის გაუნათლებლობისა. ჩვენთვის საკმარისი ისიც, რომ ჩვენში იგინი თანამგზავრნი არიან. წარმოსადგენადაც ძნელია მეტი უვიცობა და სიბნელე, რომელიც არსებობს საჭარლველოში. ამის უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ ჩვენში, როგორც მთელ რუსეთშიაც, არ არსებობს სავალდებულო სწავლა-განათლება. მაგრამ რუსეთში არსებობს სამაგიეროდ ისეთი დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას უადვილებს სწავლა-განათლების გავრცელების ხალხში. ეს არის ერობა. ჩვენშიაც რომ ერობა იყვეს, იარაღი სწავლა-განათლებისა — სკოლები — ერთი ითაც გამრავლდებოდნენ. მაგრამ ჩვენში სახალხო სკოლები ნაკლებ არიან და ჩვენი უვიცობის დიდი ლაბირინტში ისინი ოდნავ მშეუტავ ჭრაქებს უფრო წააგავან, ვიდრე გზის მნათობელ ჩირალდნებს.

ჩვენ სრულებითაც არა ვესურს ულოლიკობის ბრილი დავსდოთ მათ, ვინც მთელი თავისი ძალონე ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას შეალია — და ეს იმ დროს, როცა სახალხო განათლება უძრავ მორევშია ჩაფლული, მაგრამ, რომ „პროგრესიულმა ფორმულამ“ — უნივერსიტეტი უჯობიან სახალხო-ეროვნულ სკოლისთვის — უფრო მე-

ტი გავრცელება არ მიიღოს, იძულებულნი ვართ ვალიაროთ, რომ სახალხო სკოლა ჩვენთვის და ჩვენს პირობებში გაცილებით მაღალის შინმცნელობისა, ვიდრე უნივერსიტეტი. და უშემციშე უნდა შეექმნეს მახლობელ მიზნად შეგრძელებული სტუდენტებისა. ბულგარეთს აქამდისაც არა აქვს მედიკური ფაკულტები, მაგრამ სახალხო სკოლის მეოხებით იგი განვითარების მტკიცე გზაზედ სდგას და მომავალი სრული უნივერსიტეტი სოფიაში მხოლოდ გვირვენი იქნება მისი განათლებისა.

ამ რიგად, სიმდიდრე და განათლება აი, ის ლიანდაგი, რომელზედაც უნდა შესდგეს ჩვენი ეროვნული მატარებელი, მანამდის კი, უამლიანდა-გოდ, ჩვენ მუდამ „დამსხვრევა“ მოგველის.

მაგრამ, რაღაცანაც საჭართველოს ბედის წიგნი მაკლერის წიგნაკი არ არის, სადაც აღნიშნულია, რა დღეს რა უნდა ისაქმო და საზოგადოთ განვითარება ერისა არასოდეს არ არის უზრუნველ ყოფილი შემავალ შემთხვევებისაგან, ამიტომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყვნეთ ამ შემთხვევებისთვისაც და ამისთვის კი საჭიროა მტკიცე ეროვნული დისკიპლინა. თუ რამე ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, სწორედ ამ დისკიპლინის უქონლობა. ქართული საზოგადოებრივი შეგნება ჯერ იმ განვითარებამდის არ მისულია, რომ იგი მთლიან აზრს წარმოადგენდეს. ამით თიხსნება ისიც, რომ ყოველი საკითხი, სადაც ერს ერთი სინდისი და ერთი სიტყვა უნდა ჰქონდეს, ჩვენში ამ აზრის დაჭუცმაცების იწვევს და ეს კი უსასტიკესი რეაქცია არის ჩვენის განვითარებისთვის. ამ ბოლო დროს ჩვენ ვიყავით მოწმენი მრავალ საზოგადოებრივ მოვლენათა, რომლებიც აშკარადა ხდიან ჩვენ აზრს.

ამის მიზეზი უმთავრესად ჩვენი პოლიტიკური გაუზრდელობა და; მოუმწიფებელობა არის. და ეს არც ისე გასაკვირველია. ქართულ ინტელიგენციის ცხოვრება უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საშუალო საუკუნეთა კნებტების ცხოვრებას ჰგავდა, რომლებიც ერთნაირის ერთგულობით იბრძოდნენ სხვა და სხვა დროშის ქვეშ. მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ მიზეზი ამისი იყო გამრავნელი მნიშვნელობა სწორედ ამ მრავალ-დროშიანობისა. ბოლო ჰქონდა ამას საშუალო საუკუნეებში, ბოლო ექნება ამას ეხლაც — ჩვენში. და რაც უფრო ადრე შეერთდება დაჭუცმაცებული მოწინავე საზოგადოება ერთ აზრის გარშემო, მით უფრო მაღლ იქნება განხორციელებული ნახევარი მიზანი მაინც.

შ. ამირეჯიბი.

ლ ღ ი ბ ი თ—პ ა ლ დ ე ბ უ ლ ხ ი

1861 წელს მთავრობამ შოთა რესერში ბატონუ უშთა და უსა-გლეხი განთავისუფლა უმობა-მოხადისაკან. ასადმა კინომა გრიოვისუფლებულ უსას კანსაზღვრული ზომის აღგად მ:მედი მთუზომა და დავადა — ამ შემუდის შემოსავლით ემსიხურე ჭერ ძველი მებაზონეს, მემრე სახელმწიფოს, ესე იგი ასადე სახელმწიოთ გადასადები და შემდეგ ამის არჩინე შენი თავი და ცოდნებიღით. რაგორ ჭიქელავთ, ადგიღი საზოდი არ იყო რუსის გღეხისათვის ეს ტერიტორია იმ მ:მედის შემოსავლით, რაც შეს მთუზომეს „დაბულების თქმებით“, ანუ უსტავნი გრამოტებით და აქ ვერც ჭიდა ეს ტერიტორია „ასადმა მოქალაქეობა“.

საზოგადოდ არც ძველმა და არც განსხვებულმა რესერმა არ იყოს დამთავრებული რეგიონი, როგორდაც არ ეხერხება ერთის დაკვრით და მოქნევით გადასტკის ხოლმე მომწაფებული საქმე. ასევე დაუმართა საგლეხო რეფორმისაც, ანუ ბრინ-ემობის გადაჭარბის. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებაზი მიაჩიქეს უძა-გლეხს. ხოლო იმდენი მამულ-დედული არ მისცეს, რამ ეს უფლებაზ განეხორციელებისა და ცხოვრების შესრულება: მემულების ტოვან ჩახედარი მამული ხელუხლებულ საჭურვალე დარჩა, ზოგან პირები მესამედი და ამ სახით გვიპს ტოვან მარტო ჩახედარი მოუპირეს იმისა, რაც ბატონ-ემობის დროს უჭირა, ზოგან თუ მესამედი. მიწის მფლობელთას შემცირებას თავისი ბუნებრივი შედევრი მოჰვა — ნივთიერი დამამუნება, ანუ ეკანომიური ბატონ-ემობა.

1861 წელს კინომა განთავისუფლებულ უმას ნება დანთო — შეგიძლიან შენის სურვილით და ნება-ერთობით და შენისავე ხარჯით და საივასით დასხნა სახმარაზ მოცემული მამულ-დედული, ანუ როგორც რესერი ეძახის „ნადელი“. ოცი წელიწადი უცადა მთავრობამ, ამა ვნახო, როდის დაიხსნას ხადელს დროუბით-კალდებულით, მაგრამ რაგი მთლიანი გაუცრუები, ადგა და 1881 წ. მეუღებით დახსნევისა თავი გლეხებითიას. მამულის ბატონის ერთაშემად მისცა მამულის ღირებული ფასი, ხოლო გლეხებს საწილ-საწილ ასდევინებდა გადს. სარგებელი ვალისა იქა 6%. მაშასდამე რესერში ღროვა-გადამუშავებულის გაგრძელდა სრული რცი წელიწადი.

მთავრობამ 1886 წელს იმულებითვე შეასედა სასაზიონ გლეხების სახელმწიფო მიწება და ამათაც ვალი უნდა ქადაგ იმ წესითვე, როგორც საუმეცნა იხდიდნენ თვეს და სარგებელს 49 წლის განმავლობაში. რესერ

გღეხისამ უკ აიტანა ამ ვალის სიმძიმეს უფრო უფრო კაი-გაგლაბში იყა. შეიტანების გადასხვადის ჩამოდისა დღითი დღე აზრებიდა და მიღიანებად ხდებოდა. მრავალი შედევათი ადგენდენ დავადას ებულ გღეხისამ, მაგრამ არაუკარი გამოდიოდა, ვალი აზრდებოდა და გღეხს წელში სუსტდედ.

სუთი იუთ გღეხის კითარება, როდესაც დაიწერ სრულიად რესერის აჭანუება, ანუ ბუნტი 1905—1906 წლებში. ჩაბატონარ და სახაზინო გღეხებითიას ემართა ვალი მთავრობისა მ: დროს ერთი მაღარდი და სამას მიღიან მანათზე მეტი (1.334.036.745 მან.). აღელვა-ბულ და ბუნტის გუნდის დამდგარ გღეხებითიას დასამებლად და დასაცხოვოდ მთავრობამ მიმართა საკმირო დონის-ძალის და აიღო და სრულებით აპარია ეს ამო-დენა ვალი. ეს მთხვე 1905 წლის 3 გილობრივისთვის მანიფესტის წელითი. მაშასდამე საქმე დაწეებული 19 თებერვალს 1861 წელს დამთავრდა რესერში 3 გილობრივისთვის 1905 წელს, ესე იკა ბატონ-ემობის. ამთავრდნას მთავრობა მოუნდა თათქმის თრმოცვა ხეთი წალიწადი. მარტი ჩაბატონარმა გღეხებითია მეიდის საკუთრებად „ნადელი“ 33.193.773 ღესაცისა. ადგინ მთავრობამ ვალი აპარია 1905 წელს, გღეხებითიას დესტრინა სადელი დაუკარ სულ რაღაც 7 მანათი და ათი შაური. ჭერ-ჭერითი რეალური და თვალისწინო სართვა სრულიად რესერის 1905 წ. აჭანუება-ბუნტისა ამ ვალის მოწევებია და სხვა არაუკარი.

ჩაბატონარის ბედის მოწეობა საჭართველოში ისევე ტარით მიღიალი, როგორც რესერში. ჩვენში ბატონ-ემობის გადაფარდა 1864 წელს 13 დვინობისთვეს. ამ კინომას ძალით ქართველ ნაუმების გღეხ-გაცს ხეთვერ ნაგლები ადგალ-მამული მოუზომა დებულების აქმებით, ვიდრე რესერში. იქ თუ სულზე ანგარიშით მიწას, ჩვენში კომლზედ იანგარიშეს. თათოუელ კომლს, რამდენი სულიც უნდა ეთვილიერო, სარწყავი ათის დღისაზე შეტი არ ეძლეოდა, ხოლო ურწყავი თცის დღისა. ნამდევილი ქართველ-კახეთის გღეხ-გაცისმ გაცილებით ნაკლები მაიღო, ვადრე კანონით ეკუთხოდა, რადგან ზოგის ბატონის — მემამულეს იმდენი საჭურარი სახნავი არა ჰქონდა, რამ შევსო განთავისუფლებული გღეხისთვის ნადელი, იმერეთში ხომ ქართველმა გღეხმა გაცილებით უფრო ნაკლები მამული ჩაიბარა, ვადრე ქართველ-კახეთში.

ჩვენშიაც, როგორც რესერში, 1864 წლის 13 დვი-

ნობისთვის პანონია უფლება მიანიჭა ხაუმეებს ნებაუთვ-
ლობით საკუთრებად შეეძინა თვისის ხარჯით, ამ მთა-
ვრობის დახმარებით ხადედი. ამ კანონით ქართლ-კახეთ-
ში მხოლოდ ერთმა მექუთედმა ისარგებლა, დახარჩენი
გლეხ-კაცოს ღლემდის ღრთუბით-ვადლებულად თოვლე-
ბოდა და ბატონ-უმურ ჭაბანწევარაში იყო. ხადედების
დახსნა გაცილებით კარგად მიღოდა იმურეთში, სადაც
რვა მიღითხ მახათისაზე მეტი ხადედი დაიხსნეს, თუმ-
ც იქაც ღლემდის დაუხსნედი დარჩა თითქმის მესამედ-
ზე მეტი.

კანონი ხადედის იმულებით დახსნის საქართველო-
ში და სრულიად ამიერკავკასიაში შეიმუშავეს აქ, ხელ-
შრიფტის მთავრილის კანცელარიაში. უმთავრესი საფუძვე-
ლი, რომელზედაც აშენებულია ეს კანონი, ის არის,
რომ ღესეტისა სახადედო მამულისა იმ ფასად უნდა და-
იხსნას გლეხში, რა ფასადაც ღირდა იგი მიწა შემთხვე-
ლის კვალთაზე 1864 წელს, ესე იგი ბატონ-უმობის გა-
დაცარდნის დროს. ესა შაზეზი. რომ ღლევანდედი ფა-
სი სახადედო ღესეტისა ერთი რად და ერთი სამად
ხადებია კანონით გამოანგარიშებული, ვიღრე იგი მიწა
ჰდიონს. მაგალითად ღესეტისა გენახისა კახეთში შეფასებუ-
ლია 106 და 120 მახათად, ხოლო ქართლში — 134 და 138
მახათად; სახელისა—კახეთში 41—51 მახათად, ქართ-
ლში — კა 16—69 მახათად. რადა თქმა უნდა, რომ
ასეთი არ შემოვრება მიწის ღლევანდედ ღირებუ-
ლობის განსაკუთრებით ვენახისა და სავენახე ადგილისა.
საქენახე ადგილი ქართლში ერთი ღესეტის ჰდიონს არა
საკლები 400 მახათად, ხოლო კახეთში 600—800 მან.

იმულებით დახსნის კანონი, აქ, ტფილისში, შემუ-
შავებული, ხელშრიფტის მთავრილებ ქართველ თავად-აზ-
ნაურობას გადასცა განსახილვებულად და თვისის აზრის
გამოსათხმებული. ამ როის წლის წინად ქართლ-კახეთის
თავად-აზნაურობაში განიხილა ეს კანონი და ასეთი აზრი
წარუდგინა ხელშრიფტის მთავრილებ. ქართველ გლეხ-
საც უსასეადლოდ უნდა გარდაიცეს ის ხადედი, რომე-
ლიც მას მიუზოდეს 1864 წელს, ესე იგი სასახლე
ადგილი, გენახი და მინდვრის მიწები. ქართველმა გლეხ-
კაცობაში ფასდაუდებელი ასაგი დასდო რუსეთის სახელ-
შრიფთს, ღდეს იგი მკვიდრდებოდა საქართველოში და
ამიერ-კავკასიაში. იმოდენა მსხვერპლი უძღვნა რუსის
მთავრობას გლეხ-კაცობაშ, რომ ამოდენა ჭავა და შრო-
მა თავის მქედრ მთავრობისთვის არას დროს არ შეუ-
წირაგსა. „მარტო პატარა საქართველოს, ამბობს გენ-
რალ-ღებარენანტი ივანენებ, მშვიდობის დროს წელი-
წადში 112.000 ბეგრის ურემა გამოშევადა და 100.000
ბარგის ცხენით“. ქართლ-კახედი გლეხი სამხედრო
ტფილოსა და სურათის ეზიდებოდა განვა-ურევანს, ერსი-

სასწან, ფოთისაკენ და იქ, სადაც კა რუსის მხედრობა
სადაშერდო იქ გასული. მომეტებული ნაწილთ მეურმე-
ებას შინ ღოცხვადი ვეღარ პრეზენტის სამაგისტრო
ხომ თითქმის სავსებით უწედებოდა. მომეტებული
ათა წელიწადი ასეთს ჭაპანს აწეროდა მაუცეს „ხადედი“, სწორედ რომ
სამაგისტროს გადახდა იქნება. მთავრობა უმამულო გლეხ-
კაცობას ციმბირში ასახდების, უსასეადლოდ ამდევს მა-
მულის, უპეთებს გზებს, უძნების სკოლების, ამათების,
ეპლენიების. ურიგებს საშენ ხის მასალას და სხვა; ება-
რება ფულით და ათასგარ სხვა დახმარების უჩენს. გა-
დასახლებულთა კეთილდად მოსაწყობად მთავრობა ფულს
არა ზოგადს და წელიწადში თითქმის 30 000,000 მა-
ნათს ხარჯად ამ საქმეზე. ამას გარდა რუსის გლეხ-
კაცობას 3 ღვინობისათვის 1905 წლის მანიულებრით ერთ
მიღიარდ მანეთზე მეტი უფეშქამა და ნე თუ ოგივე
სახელმწიფო ვალდებული არ არის გამოიჩინოს მზრუნ-
ველობა და სახელმწიფოს ხარჯით მამული მისრეს ქარ-
თველ მომაგდ გლეხს, რომელსაც ასე ღიღი ღვაწლი მი-
უძღვის ქვეუნის წინაშე და რომელსაც ღღეს ნიკოლე
მალა აღარა აქვს ფასით შეიძინოს ხადედი მიცემული
მამულით.

უკელას მოქსენებას, ამბობს იგივე თავად-აზნაუ-
რობა, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ნიკოლებიად და-
ძაბუნდა, გადარიბდა და გადატაქდა. თითქმის სამოცი-
პროცენტი თავად-აზნაურობისა მოკლებულია მამულის,
4—6 ღღიური შერჩენილის მამულისა მამულად აღარ ხა-
ითვლება და ღღეს თუ ხეად ებებ ხელიდან გამოიტან-
და. ამ რა მამულია 4—6 ღღიური, რა შეურნებია შეი-
ძღვანა ამ ერთ ბოხნა მამულზე? რაღან ასე დაქვეით-
და ქართველი თავად-აზნაურობა და თვითონ საჭიროებას
შეება-დახმარების, ამის გამო თავად-აზნაურობა სამარ-
თლიანად სოფლის, რომ სახელმწიფო ივარობს და თვი-
სას ხარჯით გამოისუადოს სახადედო მამული და შემდებ
უსასეადლოდ გადასცეს დახმარები მამული ქართველ
გლეხ-კაცობასათ.

შეორე ფრიად საუკრადლებო აზრი თავად-აზნაუ-
რობისა ისაა, რომ იმულებითი დახსნა სახადედო მამუ-
ლისა უნდა მოხდეს ღლევანდედ ფასების მიხედვით და
არა იმ ფასებისა, რომელიც არსებობდა 1864 წ. წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში, იმულებითი შესეიდვა სახადედ
მამულისა ექსპორტის უფრო ეგვანება, ვიღრე შე-
კიდვას. მთავრობაშ არ შეიწენარა საკონსტიტუციო დე-
მოკრატების აზრი, რომ მამული უნდა მიუცეს გლეხ-კა-
ცობას სამართლის ფასებშით და ას სადაური სამართ-
ლის, რომ ღლევანდელ ფასის მაგიერ მთავრობა ადგებს
გამოსასეად მამულს 1864 წლის ფასებსათ.

ხელმწიფის მთადგილებ და მისმა საბჭომ არ შეიწენა; თავად-აზნაურობის აზრი და დადგინა: იძულებით სადელების დახსნა მთხდეს იმ ფასების მიხედვით, რა ფასებიც არსებოდა 1864 წ., ხოლო დირექტორის მამულის გლეხებაცობაში გაიღოს საწილა-საწილადო.

ამ წლის მაისში ეს კანონი მოიწონა სახელმწიფო სათაოირომ და კადასტრი სახელმწიფო საბჭოს. საერადდებო ისა, რომ სათაოიროი რადაცა ხახვარ საათი მთანდომა ამ კანონის განხილვას და უცვლებად მიიღო. 19 ღებებების ეს კანონი მოიწონა სახელმწიფო საბჭოში და 21 ღებებების უმაღლესად დამტკიცდა.

სახელმწიფო საბჭოში კანონის წინადმდებ გაიღამენა თ. ანდრია ერისთავმა. კანონის ბევრი ფორმა-დებური ხაკლულება აქვთ, უთქვაშს საბჭოში თ. ერისთავს: კანონი უკურადღებოდ სტრუქტურის და არ სწევებია ხაზების საქმესა და საძოვრებსათ და ვიდრე ამ საკებლეც არ გაარგვევენ, ეს კანონი დარსი არ არის დამტკიცებისათ და უნდა ჰქონოს ვაგდოთ. რა აზრით იქ უკეთა ეს სათქვამი, გერ მივხვდით. იძულებით შესეიდგას ნა დელისას დიდი კავშირი აქვს იმასთან, თუ როგორ მთეწყობა საძოვრებით ხმარების უფლება, მაგრამ ხაზების საქმეს რა კავშირი აქვს დროებით-ვალდებულ ურთიერთობის მოსპობასთან, გერ გაიგებს ადამიანი. ახალი ფორმის ხიზანი გაჩნდა ბატონ-უმობის გადაფარდნის შემდეგ, როდესაც პავგასიონის ქედის ხეთბებში შემწევ-დებულმა მთავრება იხუვდა და ძირს, ძარში ჩამოვიდა. გამწვავებით კი საქმე გამწვავდა მაშინ, როდესაც სენატორმა კლემინტ 1876 წ. გამოაქვეუნა მესანიშნავი ცირკულარი ხიზების შესახებ. ეს ცირკულარი ხიზების ისე გაიგეს, რომ დღეიდან ჩვენ მამულის პატრონი ხელს უკარ გვახლებს და სახიზნო მამული ისე უმძროდნენ, როგორც საკუთრებას. იმის მაგირ, რომ თ. ერისთავს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებონა უძა ავ-რესი საფუძველი დროებით-ვალდებულ ურთიერთობის მოსპობისა და დაეცეა ან მიწად მოღაბების, ან მიწის მშრომელის ინტერესი, ხიზების საქმეს წაკრისა ცუ-ლე-უბრალოდ, დასხ, ხიზების საქმეც გადასაწყვეტია, მაგრამ სრულიად დამოუკიდებლად. ხიზანსა და ხავშეკას შორის დიდი ზღვარი სტეპს და მათი ერთმანეთი არება უფლად შეუძლებელი და შეუწენერებელი ცდა.

19 ღებებების განხილულა სახელმწიფო საბჭოში და 21 ღებებების დამტკიცებული ხელმწიფის მიერ ახა-ლი კანონი ხადელების იძულებით დახსნის შევა ძალაში შირველ იანვრიდან 1913 წ. ამ დღიდან სამუდამოდ მთისპობა დალა-კულუნის ძლევა და მის მაგიერობას გასწევს ფულის ზიდება ხაზისში. არსებითად ახალი კანონი ფერავერს ცვლილებას გერ შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში. იცვლება

მხოლოდ ფორმა გადასახადისა. წინად თუ დალა-კულუნი მეფებიდა, ღვევიდან დაგანხონება ფულის ძლევა მთელი სახელი საუკუნე, ვიღრე თავი გაღი გადასწევდა.

კადის მთაწყვეტად დანიშნულია სამოწყვეტილი მუნიციპალიტეტის კანონის კანონის (41 წელი და 28 წ.). სოფლის სურვილზე დამოკიდებული კადის არცენა. რომ კადის კადასაც მთასერვებს, იმის აირჩევს. ვინც 56 წ. აირჩევს, ამას უნდა იხადოს ათ თუმცან კადზე თხით მა-ნათი და თა შეური (4 $\frac{1}{2}$ %); ვინც 41 წლით იგადებს ფულს, ის იხდის ათ თუმანზე ხეთს მანათს (5%) და ვინც ისესხებს 28 წლით, ის იხდის ათ თუმანზე უქვე მანათს წელიწადში (6%)—ის. 22 შეხედი ახალის კა-ნონისა.

ვიდრე მამულის პატრონი მიიღებს ხელის ფულს ნადელისას, მთავრობა მისცემს სარგებელს თოხნასევარ პროცენტის კვალობაზე. თანხას გამოიანგარიშებს მომ-რიგებული შეა კაცი და გაუგზავნას შესამოწმებლად ხა-რჯის ამკრევ ინსპექტორის. როცა ამ მომრიგებელ შეკა-ცისაგან და ხარჯის ამკრევ ინსპექტორისაგან შედგენილს ანგარიშს დამტკიცებს საგლეხო საგუბერნიო საკრებუ-ლო, მაშინ ანგარიშს გადასცემენ სახაზინო პალატას, ხოლო უკანასკნელი ბრძანების მისცემს შესავერ ადგი-ლობრივ ხაზინას, რომ მამულის პატრონების ჩაბაროს სარგებული. საბოლოო ანგარიში ჩატარდება მემამულეს მაშინ, როდესაც შესდგება და დამტკიცდება ხასუღლიდის აქტებით.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სულ მი-იღებს სახადელი ფულს თხით მიღითნის ცხრას ჩვა-მეტს ათასს რვას სამოცდა თხის მანათს (4.917.864), ხოლო ქუთაისის—2.444.146 მანათს, სულ კი ართა გუბერნიის თავად-აზნაურობა და მათ შორის შესხეთის, ჭავახეთის და ბორისალის ბეგობა და ადალარობა 7.362.010 მანათს.

კერძოდ ტფილისის გუბერნიაში ამ ნაირად განა-წილება სახადელი ფული: 1) ახალქალაქის მაზრა ის გლეხებაცობა შეიძენს საკუთრებად 23.689 ღესეტინას; მემამულენი: ქართველი აზნაური—მუსხელანი, ქანან-კება, რობელიანი, ტომაშვილი და ბეგები: ფალავანდი-შვილები, ათაბეგნი, ერისთვიანი, ხიდირბეგიანი, მაჩაბ-დიანი, თელაშვილი, წერეთლები, მუხრანიანი, აჭალიშვი-ლები და სხვანი და მოქალაქენი: მეფისაანი, ფარალიშვილები, ქახეთიშვილები, ბეზირგიანი, ალექსანდრენი, უირხესალი, ბეთანიშვილი, ხოჯევანიშვილები და სხვანი *) მაიღებებ 1.119.559 მან. 2) ახალციხის მაზრის

*) აქ ჩამოთვლილ მემამულეო აქვთ მამული მესხეთსა და ჯავახეთში.

გლეხობა შეიძენს 18.035 დუსტისას 1.085.252 მანათად; 3) ტფილისის მაზრის გლეხობა — 10.296 დუსტისას 572.259 მან. 4) ბორჩალის მაზრისა — 6.677 დუსტისას 353.868 მანათად; 5) კორის მაზრისა — 20.866 დუსტისას 1.026.275 მანათად; 6) დუშეთისა — 9.541 დუსტისას 346.717 მანათად; 7) სიღნავისა — 4.975 დუსტისას 281.566 მან.; 8) თელავისა — 3.266 დუსტისას 169.700 მან. და 9) თანავისა — 1.155 დუსტისას 54.698 მანათად. სულ ტფილისის გუბერნიაში 98.500 დუსტისას განმოსახული, რომლის ფასი დავჭრეს 4.917, 864 მან.

ქუთაისის გუბერნიაში: 1) ქუთაისის მაზრა — 4.674 დუსტისას 312.285 მანათად; 2) შორაპნის მაზრა — 7.870 დუსტისას 337.785 მან.; 3) ლეჩხუმის მაზრა — 6.550 დუსტისას 321.770 მან., 4) სენაკისა — 8.908 დუსტისას 319.641 მან., 5) აზურეთისა — 821 დუსტისას 46.921 მან.; 6) ზუგდიდისა — 26.446 დუსტისას 993.901 მან. და 7) რაჭისა — 1.975 დუსტისას 111.841 მან. სულ ქუთაისის გუბერნიაში გლეხ-კაცობა შეიძენს საკუთრებულ 57.244 დუსტისას 2.444.146 მანათად.

ზოგის მაზრაში, მაგ., ბორჩალიში შესასები მამულის რაოდენობა მცირება. ეს იმითი აისხება, რომ როგორც აქ, აგრძელებული სისავაკნ, უფრო კი იმერულში, დრო-ებით-გადადებულის გლეხობაში ადრეგე დაიხსნა ხალები და შესაჭრე შეიქნა.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საქართველოს გლეხ-კაცობას გადად დაწევება 7.362.010 მან. წელიწადში თავნიში და სარგებელში გლეხობაში უნდა ინადოს ხუთის ბროლების გვალობაშე 368.100 მან. ესაა დალა-კულტისი მაბირი ფასი.

გადასრულ შეგვიძლიან ჭრაშიათ, რომ ეს ტარითი ერთი ფრად და იქნება სამაღაც გადაჭირებს დალა-კულტის სიმძიმეს. საბუთი ასეთის მტკიცებისა ისა, რომ მოუსავლობის დროს დროებით-გადადებული არას იხდიდა და თუ ვინმე ზარალობდა ასეთს წელს, ისევ მემამულე. საზინაში და სახაზინო შადარეა მდარე მოსავლიანობა და მოუსავლობა არ იცის. არის მოსავლიანი თუ არა, სულ ერთია, სარგებელი უნდა წარადგინოს საზინაში. არ შეიტან და „ნედომძა“, ჯარიძა და ბოლოს ხარჭთა აკრევაში გაწავული დარაჭო. მეუნეთბა საქართველოში ისევე უხერთ და პირველდელია, როგორც რესეტში. თუ რუსეთში, სადაც დროებით-გადადებულის ხეთვერ მეტი მამული მიღება და ვერ გაუმჯო ტვირთს და წელში გატვიდა, ჩვენსას რაღა ხერთი დაუერება? უმკველია, რომ ქართველ გლეხ-კაცებაც სამანივესტოდ გაუხდება საჭმე...

ამნაირად ეპთომიური შესარე ახალის რეფორმისა ბრუნვის რიგად სახარბის რეფორმით არის და საგონიერება

გვაგდებს. ხოდით შოდიტიკური შხარე რეფორმისა დიდია და თვალისწინით, დასრულდა მოხილა, სამართლებრივი განყოფისუფლდა პიროვნების გაცილება. დადა კუთხის ძლიერ ამცირებდა მუშაქს, ცენტ გუბერნიული მუნიციპალიტეტისას ურთი-ურთობა თოის წადების გაფარგებელი იქმნდა და საერთო მრობისათვის ჩადაგი ვერ ამზადებდა. მნაბეჭდი და დასაკრებით, ამ, აქ რა კეთილი განწყობილებას შეიძლებოდა! რავი გლეხი მუსავეთოვე გახდა და სხვისა თვალისა და წარმშო უკუკა ადარ დასაჭირდება, გათამამდება და უფრო მხნედ და გულიანად წაიგვანის თავის საქმეს. ურთისის შემოდებისაც „ნადეღის“ დასრულებულ შედეს შეუწეობას.

დასასრულ ისიც უნდა ადგინდოთ, რომ გათავებულად კერც 21 დეკემბრის 1912 წლის რეფორმის ჩაითვალიერდა, რადგან პირველი დარის გადაწყვეტილი ისეთი მწვავი საქმე, როგორიცაა საძოვრით სარგებლობა და ტეით ხმარება მესხეთში. სელმწიფის მოდგრიბის კანცილიანია ამ ფასად მასალას აგრძელებს და იმედია, რომ აკად თუ კარგად ამ საქმესაც მაღე მოუდებენ ბოლოს. როდესაც ეს საქმეც გამოირჩება და განთხოვა გადაწყვეტის, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენშია ბარის-ემისა გადავარდათ.

სულ ცოტა თხის-ხეთი წელიწადი მოუნდება ამ საქმესაც. მაშასადამე მთელი ნახევარ საკუთრებული ბატონუმთბის ნაშების ძარისან-ფესტივანად ამოვა-დებას, მაგრამ ეს საქმე რომ დასრულდება, მაშინ თავს წამოჭერებს უფრო დიდი და თავში საცემი საქმე—საფულის მიწად-მოვლიბელობის მოწეობა და მოწერილება, ესე იგი არეულ და აუზებულ წერილ-წერილ ნებრების ერთს შესარეზე მიტან-მოტანა. უამისოდ სოფლის მეურნეობის პროგრესით და წინსველა წარმოუდგენელია.

აღ. უიფშიძე.

ახალგაზრდობას

სევდის სახე არ გვშორდება
ვით აჩრდილი მაბეზარი!

ირგვლივ ისმის სულ გოდება,
მოთქმა-გლოვის მწარე ზარი!

ძვალთა მტვერში ფიქრი სპეცება,
გული ძლივს პლეთქს სისხლნაკლული,
საკოდავ ჩვრად იქცა ნება

გზა გადამცდარ-დაკარგული!

ერთმანეთის მტრობა-შურის
მწვავე ჯაჭვი არა სწყლება!

ვაგლახ ჩვენა, რომ წარსულის
გაკვეთილი გვავიწყდება!
დაანებეთ წუწუნს თავი:
ცრემლი—ლაჩართ ხვედრი არი!..
კარგად გესმით ხომ მტრის ავი
დამცინავი ხმა საზარი!..
რამდენიმე ათასის წლის
სისხლი გიჩქეფთ ამაყს მკერდში,
ყოვლი წვეთი ამა სისხლის
ნაღულია ბრძოლის ბრძედში,
ოხვრა-კვნესა და ჩივილი
არ შეგშვენისთ თავმომწონეთ!..
გმირ არწივთა კვლავ ყივილი
გამაგონეთ, გამაგონეთ!
შეგობრებო, დროს ნუ ჰქარგავთ,
განიკურნეთ გულის წყლული,
ლამაზ სიტყვებს ნუღარ ჰქარგავთ
და ჩაუდგით საქმეს სული!
ერთობისა, შეთანხმების
დროშა წმინდა ზე ასწიეთ,
და შუქოსან მომავლისკენ
უშიშრიად და მხნედ გასწიეთ!..
დაგვარწმუნეთ, რომ ვარსკვლავი
ჩვენი ბედის კიდევ ბრწყინავს,
რომ არ გვიდევს წინ საფლავი —
არც მომკვდარვართ... აღარც გვძინავს!..

კ. მაყაშვილი.

— ~~მარტინი~~

უკანასკნელი შექი

კარგა ღამეა გასული. საშინელი ქარი ჰქრის, სულ ჰგლეჯავს არე-მარეს და გაყინულ დედამიწიდებან თღნავ დადებულ თოვლის ფიფქს ანიავს. სოფელი საბატონო მთლიად დაფარულია ამ კორიანტელში. ცა და დედამიწა აღარ ირჩევა ერთმანეთში. მხოლოდ ბატონიანთ სისახლე, უშველებელი, რამდენიმე სართულიანი დიდი შენობა ვერც ამ კორიანტელს დაუფარავს და ის ამაყად მედურად მოსჩანს საერთო სიბნელეში.

მაგრამ კაცი რომ მიუახლოვდეს ამ უზარმაზარს, ბატონ-ყმობის დროის ნაშენს ვეშაპს, შენიშნავს რომ საამაყო აღარა აკრავს რა. სახურავი მოპგლეჯია, ირგვლივ შემოკრული ბალკონების ნაგლეჯები აქა-იქ საკოდავად და ჰყიდია, კარის და ფინჯ-

რის ნასახიც აღარა სჩანს და თვალებ დათხრილ კედლებ შეს ქრისტიშობის ქარი თავისუფლდება დანავარდობს და მის ოხრებულ თახებში ათავი შესაზარის ხმით გაჰკიცის, ბზუის, ხრისტების ანგლიერების და ამტვრებს ყველაფერს, რაც კილუ-შემჩერის ამ გავერანებულ აძაყ, თავადთა გმირაძეებთა სადგურს.

მარტო ერთ მხარეზედ, ერთ პატარა კუთხეზედ შერჩენილ ჭერ ქვეშილგან გამასჭუის ოდნავი უუქი და მცირე ვარსკვლავით ბეუტავს გარშემო გამეფებულ წყვდიადში.

დიახ, ამ უზარმაზარ ჩანგრეულ, უპატრონო შენობაში, მხოლოდ ერთი მცირე ოთახი ლა მთელი და იქ მბუჟტავ ცეცხლის გარშემო ამ სახლის პატრონთა შთამოების ორი უკანასკნელი ნაშთილა თხრავს და ებრძვის ცხოვრების ამაოებას...

დიდს, ნათალი ქვის შშვენიერი ჩუქურთმით შემკულ ბუხართან, პატარა უანგიანი „ექსტის ფეჩი“ კუნტია და ფეჩის წინ პატარა უუთხე ჩამომჯდარი პატარა, ოთხად მოკუნტული, შავებით მოსილი მოხუცი, კნეინა მართა გმირაძისა, წამდაუწუმ ფეჩის წინ დაგროვილ ძველ ნაფოტებს ფეჩში უკეთებს.

ნაფოტის აპრიალებაზედ ოთახი მთლიად ნათდება და მკაფიოდ ინათებს იმის უკიდურეს სიცარიელეს და სიღარიბესთან ერთად, იქ შეოთხ - ორს საშინელ დაავადებულ პირთა სურათებსაც.

— დედა, ნუ თუ შესაძლებელი არ იყო ორი კვერცხის შოვნა? ექიმმა აქ იმიტომ უფრო გამოამგზავნა, რომ რძეს და კვერცხს იაფად იშოვნიო, უკვერცხოთ და ურძეოთ შენი წამლობა ტყუილი იქნებათ; ოდნავის, გახრინწიანებულის ხმით წარმოსთქვა ცეცხლთან შორიახლოს მდგომ ტახტზედ წამოწოლილმა ავადმყოფმა და მუხლებზედ წამოხურული საბანი გულამდე იიწია, ჩიტეკპნა გვერდებში და საშინლიად მძიმედ დაახველა.

— მოგიკვდეს დედა, შვილო! თავში ხელის შემოკვრით მიუგო ფეჩთან მჯდომშა მოხუცმა დედის ორმოცის-ორმოცდა ხუთის წლის, წვერ-ულვაშ გაბანჯგლულ და ყვითლიად დასიებულ ხელ-პირიან ავადმყოფ თავის შვილ ზაქარიას და ფეჩს კიდევ ნაფოტები შეუმატა. — დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა! რად არის ცოცხალი დედა შენი მართა, რათა? რაც ის დალოცვილი ლმერთი ბოლოს არ მოუდებს ჩემს დაუსრულებელ ტანჯვას! რაღად მაყურებინებს თქვენ ჭირს და ვარამს, ოჯახის დედამიწამდინ გასწორებას!

— კვერცხით, რძეო! სად არის კვერცხი, სად არის რძე ამ გაძვალტყავებულ სოფელში! და რომ იყოს კიდევ, ვინ გამოვვიჩინს ჩვენა? სულ მისხი-შისხათ გააქრობენ, რაკი შეიტყობენ, რომ ჩვენ გვესაჭიროება.

— განა არ იციან რომ ავადა ვარ? არ იციან რომ, თუ არ რძე და კვერცხი, სხვას ვერაფერს შევ-ჭამ? რომ უიმისოთ შიშშილით საკვდილი მომელის....

— იციან, შვილო, იციან! ყველას შევჩივლე, ყველას შევტირე, მაგრამ სიბრალული სად არის.... ხომ იცი, მთელი სოფელი მტრული გვიყურებს.... ან მოყვრული როგორ უნდა გვიყურებდეს.... სამი თვით ჩაყენებულმა „ზეკუკიამ“ სულ ტყავი გააძრო ყველას. ქათამი რა არის, ქათამიც კი არავის შეარ-ჩინეს გალექებულმა ყაზახებმა.... ხელზედ დასაყრე-ლა თივა აღარივის გააჩნია, სულ ყაზახთა ცხენებმა შთანთქეს; აბა ძროხები რილათი გამოჰყებონ... სუსველაფერი მიყიდ-მოყიდეს, ციკნის ციკინსაც ვე-ლარსად გაიგონებ... ვაჯ-კაცნი ქალაქებში გაიფანტ-ნენ სამუშაოდ და თითო მუჭა ფქვილს იქიდგან აწოდებენ ოჯახს...

— კარგი, კარგი! ნუ მამიყვი საყვედურებს. ომის დროს ბრძოლაა საჭირო, ომი გამოვვიცხადეს გლეხებმა და ჩვენც სამაგიერო მიუგეთ... გაანჩხლე-ბით უოხრა ზაქარიამ დედას.

— „შენც წახდი, შეც წამახდინეო“, ნათქვამია, შვილო, და აკი ჩვენც გავნადგურდით.... აკი ჩვენც დავკარგეთ ყოველი სანუგეშებელი, ცხოვრების გზა და კვალი, აკი თავზედ დაგვენგრა მამა-პაპათა ნა-შენი პალატნი, შეფეთა და დიდებულთა ჩამომი-ვალთ, განცხრომაში და დიდებაში ცხოვრებას ჩვე-ულთ, აკი ლუკა გვენატრება ...

— ახ, დედა, დედა! გაჩუმდი, გაჩუმდი! ნუ მიწამლავ უკანასკნელ წამებს... რად წამოველ აქ, რად მოვატანე ჩემ ჩამქრალ კერას, ჩემი მშობლის უბე-კალთას!... რატო „ბალნიცაში“ არ გადავლრძი და სიერთო საფლავში არ დავიმარხე.... ჰე, ჰე, ჰე! კვლავ დაახველა ღრმად, უხმო, საშინელის ხველე-ბით ზაქარიამ და კვლავ საბანის ამოკეცვა დაიწყო... მცივა... საშინლად მცივა... თითქო ხელფეხი მეყი-ნება... სხეული მიღუნდება... ხველების გაყუჩების შემდეგ ხვნებით და ქაქანით წარმოსთქვა ზაქარიამ და მერე დალურჯებული ტუჩები მაგრად მოუჭი-რა, გაყუჩდა და კვლავ შავს ფიქრებს მისცა თავი.

თანახში სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო ფიჭვის ნა-ფოტებს გაპქონდა ტკაცა-ტკუცი უესტის ფეხში და

გარედგან აფორიაქებული ქარის შუილი ისმოდა. დედაც და შვილიც მოგონებაში იყვნენ ჭასულნი და აწმუო, ეს საშინელი აწმუო, უნუგეში და ბნე-ლი თითქო უკან იყო ჩამოყენებულორიც და კავკა-ცია

დედაც და შვილიც წარსულის მატებების ტკივილში, ყურს აღარ უგდებდნენ აწმუოს სულთა-მხუთავ გამძინვარებას.

დედას დაავიწყდა, რომ შვილი, სიცივეში ნამ-გზავრი და ავადმყოფი, სიმშილით დასუსტებული და ლონე მიხდილი ძლიერს სუნთქვდა და თვით ავადმყოფს ყელთან მობჯენილი მწირი სული...

მაგრამ ტკივილმა თვით ამოიღო ხმა და ამ ხანად ისეთის სისასტიკით, რომ მისი შეკავება და უკუ ქცევა შეუძლებელი და იყო და როცა ორთა-ვენი გონს მოვიღნენ, ავადმყოფობის კრიზისი უკვე დამთავრებული იყო.

ფეხი გამქრალიყო, ოთახში სიბნელე და სი-ცივე იყო გამეფებული, ზაქარია სცდილობდა და-ხველებას, ხვნებით. ხელებს იქეთ იქით აწყვეტდა...

მართამ საჩქაროდ აანთო ფეხი, შანდალში ჩა-რჩენილ სანთლის ნამწვეს მოუკიდა და აკანკალებულ აუახცახებული შვილს მიუახლოვდა. ის, ზეზე წამო-მჯდარი, ყელში თოკ-წაჭერილივით გალურჯებული, თვალებ დასიებული. სულს ძლიერს იბრუნებდა, იხსინდოდა, უკანასკნელად იბრძოდა...

— შვილო! შვილო! ისეთის საშინელებით შეპკივ-ლა მართამ, რომ მისმა ქცევილმა გადაღიახა სტიქი-ონის გააფრთხებული ყმუილი და სოფლელთა მიუ-ჩებულ ყურამდინ მიაღწია.

და ცუცხლებზედ განრისხებული სოფელი, სიკვდილის დროს შეურყევლად დაძრა და გაჭირ-ვებულთ ნუგეში სუა და პატრონობა აღმოუჩინა.

ეპ. გაბაშვილისა.

ქრონიკა.

სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ა. ბ. ერისთავი

დროებით ვალდებულ გლეხთა კანონ-პროექ-ტის განხილვის დროს სახელმწიფო საბჭოში სიტ-ყვა წარმოსთქვა თავად ა. ბ. ერისთავმა. „Русское слово“-ს მოპყავს რეზიუმე ამ სიტყვისა.

„კავკასიის (?) თავაღ-აზნაურობის წარმომა-დგენერი თავის განსაკუთრებულ მოსაზრებაში წინადადებას იძლევოდა უკუეგდოთ კანონ-

პროექტი. მისის სიტყვით სათათბიროს კანონ-პროექტი არ აქმაყოფილებს არც გლეხობის ინტერესს, არც თავიდანაურობისას და ამას-თანავე სრულიად მხარს უხვევს ეგრედ-წოდებულ ხიზანთა მდგომარეობას. კავკასიის თავად აზნაურობა კანონ-პროექტს სთვლის ისეთ მოვლენად, რომელიც ძირს უთხრის არამცუ გლეხთა მეურნეობას, არამედ მიწად-მფლობელობასაც. კანონ-პროექტით განზრახული სხემა გამოსყიდვის აქტებისა მრავალ საზოგადოებისათვის და სოფლებისათვის შეუფერებელია, ეწინააღმდეგებოდა ხასიათს კავკასიურ მიწად-მფლობელობას და ფაქტიურად განუხორციელებელია. კანონ-პროექტს აკლია აგრეთვე სისრულე, როცა ის მხარს უხვევს გლეხთა უმრავლესობასა, „გრედ წოდებულ ხიზნებს“.

თავად ა. მ. ერისთავს პასუხი გასცეს ნამესტნიკის წარმომადგენელმა ა. მ. ნიკოლსკიმ და თვით პრემიერ მინისტრმა კოკოვცევმა, რის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა საბჭოსაგან.

8. დ. ქიტიაშვილი.

ქრისტიშობისთვის 22-ს გასულ წელს, ქ. გორში მამასახლისის არჩევა მოხდა. არჩეულ იქმნა ზ. დ. ქიტიაშვილი. გორის ახალი მამასახლისი ახალგაზდა კაცია. დაიბადა ქალაქ გორში, საშუალო განათლება თბილისის მეორე გიმნაზიაში მიიღო და შემდეგ დიდხანს იცხოვრა ქ. უენევაში, სადაც დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ქიმიის დოქტორის დიპლომით. უნივერსიტეტმა ქიმიის ასისტენტად დასტოვა, მაგრამ ზ. დ. დიდხანს არ იდგომილა უნივერსიტეტში და 1911 წ. სამშობლოში დაბრუნდა. უნევაში ყოფნის დროს სათავეში ედგა ქართულ სტუდენტობას და იყო გამგედ ზუბალი ლის მიერ დამაარსებელ ქართველ სამკითხველოსი. სამშობლოში დაპროცენტისას იგი დასახლდა ქორში და ამ დღიდან დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც ქალაქისა ისე სხვა საზოგადო საქმეებში. მამასახლისად არჩევამდის იგი იყო ქალაქის რწმუნებულად და ითვლებოდა დამფასებელ კომისიის თავმჯომარედ. იგია ერთი დამაარსებელთაგანი გორის საგამომცემლო საზოგადოებისა, იღებს მონაწილეობას წ. კ. ს. გორის განყოფილებაში, არის წევრი გორის საკრედიტო საზოგადოების საბჭოსი და სხ.

* ქრისტიშობისთვის შუა რიცხვებში გადაიკ

ვალა კახეთში ცნობილი მოღვაწე იური ჰავაზაძე, რომელიც დაულილივად შველოდა ყველა კულტურულ საქმეს და თანაგრძნობით ეშვიობოდა/ხალხის ჭირ-ვარამს. სკოლა და სამშობლო, ენერგეტიკული კრედიტი, საავადმყოფო და ფინანსურული გულ-მხურვალე და მფარველს პოულობდა მის პატიოსან და კეთილ გულში. დაშორებული ქალაქს, ის ყოველთვის ხალხის შუა გულში ტრიალებდა და ძალის და გვარად შექმნდა განათლება და კულტურის სხივი ჩვენ დაბეჭივებულ სოფელში. საუკუნოდ იყოს ხენება მისი, როგორც მისაბაძ მაგალითისა ჩვენი ინტელიგენციისაგან.

მ. ხ. ბ. რედაქტორი!

გთხოვთ, ოქვენი უურნალის ქრონიკაში მოათვხოთ შემდეგი ცნობა: ბაქოში შედგა ქართველ ინტელიგენტთა პატარა წრე, რომელმაც განიზრახა სთარგმნოს ქართულიდან რუსულად ქართველ მწერალთა საუკეთესო თხუზულებანი, რომლის რედაქტორობა იკისრა ერთმა რუსეთის გამოჩენილმა (?) მწერალთაგანმა.

ეს ჯგუფი მიმართავს ყველას, ვისაც შეუძლია წარმოადგინოს თარგმანი. სასურველია ითარგმნოს მხატვრული ლიტერატურა და პოეზია. შრომის ფასი მიეცემა ყველას, შეძლების დაგვარად. ამ საქმის გამგის მისამართი: ბაკუ იოსებ ბარაბაშვილის უბანი და გამოჩენილმა (?) მწერალთაგანმა.

განათლების სტატისტიკა

ინვილისელმა შეცნიერმა ა. მაკლოლანდმა ამას წინად გამოაქვეყნა საინტერესო გამოცვლევა: თნამედროვე მდგომარეობა, ხალხის განათლებისა; სხვა და სხვა ქვეყნებში თურმე 10,000-ს ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდობაში წერა კითხვა არა სკოლინათ.

გერმანიაში	.	.	4-6
შვეიცარიაში	.	.	9
დანიაში	.	.	20
ინგლისში	.	.	100
პოლანდიაში	.	.	210
საფრანგეთში	.	.	346
ჩრ. ამერიკაში	.	.	380
ბელგიაში	.	.	833
იტალიაში	.	.	3073
რუსეთში.	.	.	6110

რუსეთი ამ მხრავ უცელაზედ ჩამოტჩენილია.
ასევე ბეჭდვით სიტყვის შესახებ. გაზეთების
რაოდენობაში პირველი ადგილი უჭირავს შვეიცა-
რიას.

ერთ მილიონ მცხოვრებლებზე მოდის:

შვეიცარიაში	275
ჩრ. ამერიკაში	260
საფრანგეთში	251
პოლანდიაში	132
გერმანიაში	115
ინგლისში	98

დანიაში	84
იტალიაში	60
ბელგიაში	27
რუსეთში	—

ამას შეიძლება დაემატოს, რომ საქართველო-
ში მოდის ერთ მილიონზედ 9 გაზეთი
რედ.

გლეხ მერძევეთა ამხანაგობა ,ლილო.

13 მაისს 1912 წელს თბილისში ჩამოვიდა პირ-
ველი ეტლი კოოპერატული რძიო გლეხთა ამხა-
გობა „ლილო“-სი.

მას შემდეგ გაიარა 8 თვემ და, მგონი ინტე-

რესს არ იქნება მოკლებული, თუ თვალს გადა-
ვალება ამხანაგობის მოქმედებას. ამ მოქმედებას
ნათლად გვიხატავს თვით ამხანაგობის ანგარი-
შას შემდეგ გაიარა 8 თვემ და, მგონი ინტე-
შები.

თ ვ ე ბ ი თ	ამდექნი გაიუიდა რძე	რა ფასში	სარჯი	დაურიგდა	რძის ფასი
				წევრებს	ფუთაბრივ
1 მაისში	144 ფუთი 13 ¹ / ₂ ბაზ. 230 ბ. 94 ბ.	68 ბ. 5 ბ. 161 ბ. 98 ბ.	1 ბ. 60 ბ.		
2 თიბათვეში	273 ფ. 34 ³ / ₄ ბ. 438 ბ. 19 ბ.	93 ბ. 40 ბ. 338 ბ. 4 ბ.	1 ბ. 60 ბ.		
3 მკათათვეში	250 ფ. 33 ³ / ₄ ბ. 401 ბ. 35 ბ.	82 ბ. 65 ბ. 330 ბ. 95 ბ.	1 ბ. 60 ბ.		
4 მარიამობისთვეში	202 ფ. 23 ¹ / ₄ ბ. 324 ბ. 13 ბ.	71 ბ. 80 ბ. 248 ბ. 58 ბ.	1 ბ. 60 ბ.		
5 ენკენისთვეში	130 ფ. 31 ¹ / ₂ ბ. 209 ბ. 25 ბ.	52 ბ. 20 ბ. 154 ბ. 31 ბ.	1 ბ. 60 ბ.		
6 ღვინობისთვეში	135 ფ. 30 ¹ / ₄ ბ. 244 ბ. 36 ბ.	40 ბ. 3 ბ. 193 ბ. 83 ბ.	1 ბ. 80 ბ.		
7 გიორგობისთვეში	128 ფ. 22 ბ. 257 ბ. 10 ბ.	50 ბ. 90 ბ. 196 ბ. 20 ბ.	2 ბან.		
8 ქრისტიშობისთვ.	134 ფ. 20 ბ. 269 ბ.	54 ბ.	205 ბაზ.	2 ბან.	

რვა თვეში სულ: 1401 ფუთი 9 ბაზ. 2374 ბ. 33 ბ. 513 ბ. 3 ბ. 1809 ბ. 80 ბ —

ამ რიგად, 8 თვის განმავლობაში წევრებს ნა-
ღდათ დაურიგდათ 1809 ბ. 80 კ. იმ საქონელში,
რომელსაც საზოგადოთ ამ სოფელში თითქმის სრუ-
ლიად ფასი არა ჰქონდა. რძეს გლეხები თითონა
ხმარობდნენ, მუშებზედ ზარჯავდნენ და ითასში ერ-
თხელ თბილისში მაწვნად ჰყიდდნენ. იმავე ინგარი-
შებითანა სჩანს, რომ „ლილო“-ს ამხანაგობაში და-
საწყისში წევრებად ითვლებოდა 45 გლეხი. მათ
ჰყავდათ 140 ძროხა, იქედან 55 სული მეწველი.

1 იანვარს 1913 წელს ამხანაგობაში შედის
71 წევრი 216 ძროხით, რომელთაგანაც იწველე-
ბა 91 ძროხა.

როგორც ვხედავთ, პირველ ქართულ ნერძეო-
ბის კოოპერატივმა კიდევ თიდგა ფეხი გლეხთა წრე-

ზი. მართალია, ბევრი დაბრკოლება ელობებოდა
მის მოქმედებას, მაგრამ მაინც წინსვლაში არ შე-
ძებერებული მაგალითად, პირველ ზამთრის სეზონს,
ძალიან გაჭირვებულ დროს, პრიმიტიულად დაუ-
ნებულ მერძეობის საქმესთვის, როდესაც, სხვათა
შორის, მრავალი სოფლის ძროხა მრება, რძესაც ძა-
ლიან იყვნებს, „ლილო“-ს ამხანაგობა მხნედ დაუ-
ნედა. უკანასკნელ დროს ზიდავს თბილისში 7
ფუთს რძეს უკველ დღე და სკოდილობს ხალ ძრო-
ხების სუილვით, კაი საკვებით უფრო და უფ-
რო მოიმატოს კიდევ. თუ ეგრე ბეჯითად წაი-
ყვანს თავის საქმეს, ლილოელთა ამხანაგობა
კვილ მომავალსაც უნდა მოელოდეს. გლეხობაც
დიდის კურადღებით და სიმპატიით ეკიდება ამას და

სცდილობს უფრო გამთავეთოს და შევიღოდ მთაწყუს ივი. ეხლა, სხვათა შორის, ზრუნავენ ძროხების რაციონალურ კვების მოწყობაზედ. იმისათვის აპირობენ გაზაფხულიდამ იონჯის და ჭარხლის მოყვანას თავის მიწებზედ. თებერვლიდამ შეუდგებიან საკუთარ მერძეობის სადგურის აშენებას. მათ მოქ-

მედების მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და ხელმძღვანელობს კოოპერატიული სექცია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

უკრაინული დე.
ბიბულის მეცნიერება



ქართველი ქალები მე-60-ე წლებში (ქართ. მუზეუმი)

შარვხის და შუაში—ულენე ჩოლავაშვილისა და ბარბარე თუმანიშვილისა, ასევე თ-დ ივანე მალხვაზის ძე ანდრონიკაშვილისა და მარჯვენიშვილის არჩალა ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე—ბარბარე.

ქადაგი საკითხი

ჩვენ, ქართველებმა, ორი მხრიდან უნდა შევხდოთ ქალთა საკითხს. ერთი არის მსოფლიო შეხედულება, ანუ პრინციპი და მეორე—შინ სახელმძღვანელო, ანუ ტაქტიური მოსახრება. ორთავე საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი დაფიქრება სჭირია, რომ აქაც ისეთივე ყალბ ნიადაგზედ არ შევსდგეთ, როგორც სხვა ბევრ საკითხში.

საუბრედულოდ, ამ თრ შეხედულების გზა ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და იწვევს აუცილებელ კონფლიქტებს. აი ის მახლობელი ფარგლები, რომლითაც მინდა შემოვზღუდო დღევანდელი ჩემი წერილი, თორემ ქალთა საკითხი მეტად რთულია, რომ საეურნალო წერილით შეიძლებოდეს მისი დაშრეტა.

როცა ქალთა თანასწორობაზედ ლაპარაკობენ,

გამოდიან იმ ტრაფირეტულ აზრიდან, რომ ქალიც და კაციც ადამიანია და ერთნაირი უფლება და ერთნაირი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. მგონი, აღარ არიან ისეთი საშუალო საუკუნის მდევარნი, რომელნიც ეხლაც უარყოფნენ ქალის ადამიანურ ბუნებას და სულს. მაგრამ, როცა ბუნებაზედ და სულზედ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ბუნებრივი და სულიერი განსხვავებანიც, რომლებიც არსებობენ ქალსა და კაცს შორის. როცა ლაპარაკობენ თანასწორ-უფლებიანობაზედ, უნდა ითქვას სიტყვა თანასწორ-მოვალიანობაზედაც.

თუ საფუძვლად დავიდებთ იმ ნორმალურ მდგომარეობას, რომ ქალი უნდა გათხოვდეს და ოჯახი შექმნის, ე. ი. ადამიანის ტომი განაგრძოს და უკვდავ ჰყოს, და არა იმ არა ნორმალურ ძოვლენას, რომ ბევრი ქალი ვერა თხოვდება,— უნდა იღვნიშნოთ, რომ ეს ბუნებრივ-ნორმალური მდგომარეობა ჰქმნის უპირველეს განსხვავებას.

რაც უნდა სხვა და სხვა ფერის სახე მიიღოს თჯობა, იქნება იგი თავისუფალი კავშირი თავისუფალ პერსონებათა, კანონიერი შეუღლება ეკლესიის ან სახელმწიფოს წესით, ხანგრძლივი თუ მოკლე-ვადიანი, მრავალკოლობა და მრავალქმრობა, ან ერთმეულლეობა—ყველა შემთხვევაში, ქალის მდგომარეობა, უპირველესად ყოვლისა განიხომება და განისაზღვრება მისი ბუნებრივი ფუნქციით—ორსულობით და შემდეგ დედობით.

აქედან გამომდინარეობს ისტორიულად დედოკაცის სულიერი მოთხოვნილებაც, მისი უფლებაც და მოვალეობაც, რადგან არ შეიძლება დივებიაროთ იმ ანორმალურ და არასისურველ მდგომარეობას, რომ ბევრი ქალი იძულებულია გაუთხოვარი დარჩეს, ბევრს შვილები არ ეძლევა და სხ. ჩვენ მხედველობაში უნდა ვიყოლიოთ ნორმალური ადამიანი, ნორმალურის ფუნქციებით.

✓ ამ შემთხვევაში კი, ქალი, როგორც ფიზიკური იარაღი მოდგმის გაგრძელებისა—სრულიად სხვა, კაცისაგან განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს. მართლაც, ამ ბუნებრივ დანიშნულების წყალობით, ქალს განსაკუთრებული მოვლენები, ცვლილებანი აქვს ორგანიზმი, რაც თითქმის აავადებს და ხელს უშლის იმისთანა საქმის გაკეთებას, რაც კაცისათვის და იმ ქალისათვისაც, რომელიც ჩვეულებრივ პირობებშია,—ადვილია. აქედან ის წარმოსდგება, რომ ქალს არ შეუძლიან და ნებაც არა აქვს ბევრს დარგში მუშაობა განუწყვეტლივ. ამას ზოგიერთი სახელმწიფონი კიდევაც იკანონებენ იურიდიულად (ინგლისი, ბელგია, გერმანია და სხ.).

ნორმალურ ქალის ცხოვრება დაყოფილია ისეთ პატარა და დიდ ხანებად (პერიოდებად), რომ განუწყვეტლობა მუშაობისა,—ზოგან კი ეს აუიცილებელია—მისთვის ყოვლად შეუძლებელი ხდება. და რადგან ცხოვრების თითქმის ყოველი დარგი თხოულობს შეუწყვეტელ მოქმედებას, ქალის პერიოდული გადადგომა საქმიდან, თანამდებობიდან, თუ წარმოებიდან—არა სასურველ შეფერხებას შეიტანს.

პირველ ყოფილ საზოგადოებაშიაც კი ყველა ადამიანს თავისი მიჩნეული საქმე აქვს და ნალბანდი ხარაზობას არ ეწყობა, და როცა ცხოვრება როულდება, სპეციალიზაცია რომელიმე დარგში აუცილებელი ხდება. მომავალში ეს თანდათან უაღრესდება და ქალსაც ძალაუნებურად, თვით ბუნებისაგან მიჩნილი სპეციალური ადგილი ექნება.

უსამართლობა ამაში კი არ არის, უსამართ-

ლობა იმაშია, რომ ამ დიდ და პატივსადებ სპეციალურ დანიშნულებას, სათანადო ანგარიშს, არ უწევს კაცობრიობა და ამ დანიშნულებიდან გამომდინარე უფლებასაც არ ანიჭებენ დაუდინებელი მართვას.

ამ მარივ საყურადღებოა ზოგიერთი ჩვეულებანი და კანონები ზოგიერთი ხალხისა.

ინდოეთში უკანასკნელ დრომდე ქალს არავინ შეირთავდა ცოლად, თუ წინასწარ შეილი არ ეყოლებოდა, ე. ი. ფაქტიურად, თვალის უფლებასაც არ ანიჭებდნენ, თუ თავისი სპეციალური უნარი არ გამოიჩინა. ბელგიაში ეხლაც დაკანონებული აქვთ ერთი ჩვეულება, რომ ფეხშიმე დედაკაცს შეუძლიან ყოველი სავაჭრო სახლიდან წილოს, უსასყიდლოთ, მოწონებული ნივთი და ეს—ევროპაში. საკაკერძო საკუთრების პრინციპი ღმერთადა ქცეული. იტალიაში, ქუჩაზე, გზაზედ მომავალი ორსული ქალის წინაშე ყველა ზრდილობიანი აღამიანი მოვალეა თურმე განზე გადგეს და ქუდი მოიხადოს... და სხვა და სხ. ათასი ამისთანა მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, რომ ქალის სპეციალურ ბუნებისაგან შეიძლება სპეციალური უფლებანიც შეიქმნეს და ეს ასეც უნდა იყვეს: ყველა აღამიანი უნდა დაჯილდოვდეს იმდენად, რამდენადაც ლირსია.

ის მძიმე უღელი, რომელსაც ადგამს ქალს შვილოსნობა, ჯერ ორსულობაში, შემდეგ შეილის ვამოკება-აღზრდაში, არა მარტო შეიქმნა განსაკუთრებულ მდგომარეობას ქალისას და აქედან გამომდინარე უფლებას, არამედ განსაკუთრებულ ქალის ფსიქოლოგიასაც.

ორსულობის დროს, ქალის არ შეუძლიან რომე მძიმე საქმის გაკეთება და არც ვარგა; რადგან ზიანი მოაქვს როგორც მის პიროვნებისათვის, ისე მომავალ შვილისათვისაც, ამიტომ კაცთაგან არა მარტო პატივცემა და სათუთი მოპყრობაა მათთვის საკირო, არამედ აქედან გამომდინარე უფლებაც, რომ ქალი ამ დროს სრულიად განთავისუფლებული იყოს საქმისაგან. ეს უფლება მარტო ქალს შეუძლიან მოიპოვოს. შეორე მხრით, ესეთი მდგომარეობა, როცა ქალის მოელი შინაგანი ენერგია, ფიზიკური, ზნეობრივი და კონებრივი მიმართულია ნაყოფის მომწიფებაზედ, ანუ როცა, როგორ ჰენისი ჰაინ ამბობს: ქალი მოლად თავის ჭიშში გადადისო, როცა მისი სხვა ფსიქოლოგიური მხარეები მისუსტებულია, მას სრული უფლება უნდა ჰქონდეს, ამა თუ იმ სახით, საზოგადოებრივ დახმარებაზედ. დააქვე უნდა დაუმატოთ, რომ ნებაც არა აქვს მაშინქალს ისეთ პირობებში ყოფნისა,

რომელნიც ხელს არ უწყობენ ნაყოფის შევსებას და ნორმალურ ზრდასა.

ამის შემდეგ, მშობიარება ლალავს ქალის ორ განიზმს და მომხდარი რევოლუცია თხოულობს უკანასკნელ ერთ თვეს მაინც, ვიდრე ყველაფერი ნორმალურ სახეს მიიღებდეს. ჩვენში, მელოდინეს ერთ თვეს მაინც არ იყენებენ ზეზედ და მეცნიერებაც ამტკიცებს, რომ 9 დღეზედ წამოხტომა—სახითოა. შემდეგ, ცხრა თვეს უნდა ძუძუ აწოვოს დედამ შვილსა და მაშასადამე მაშინაც მოწყვეტილი იყოს ყველა საქმეს. იგივე მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქალის და საზოგადოთ ადამიანის ბუნება თხოულობს და ორგანიზმი ერთი შვილის შობა-გამოკვება. მაშასადამე 24 თვეში სულ ცოტა, 15 თვე მაინც, ქალი განთავისუფლებული უნდა იყვეს სხვა შრომისაგან. და დარჩენილ 9 თვეს რაღა უნდა გააკეთოს? რის გაკეთება უნდა მოასწროს?

თ ასეთი, ბუნებრივად ხანგრძლივი ფუნქცია არის მიზეზი, რომ ქალი განვითარებითაც, შრომის უნარითაც გაცილებითუკანა სდგას კაცზედ და არა ის, რომ ქალი მუდამ დაჩაგრული იყვეს მასზედ ლონიერი კაცისაგან და დამონებული. თორემ განაცოტა იყო ისტორიაში იმისთანა ხანა, როდესაც ქალს ნაკლები თავისუფლება არა ჰქონდა კაცზედ, მაგრამ „მონობას“ მაინც თავი ვერ დააღწია. ბევრნი ურევენ ეთმანეთში მიზეზს და შედეგებს: ქალი მუდამ დამონებული იყო და ამიტომ არ განვითარდათ. პირიქით, ისტორიამ აუარებელი მაგალითი იკის, როცა განუვითარებლობა რომელიმე ერისა, ადამიანისა, ჯვუფისა, მისს დამონების და გათახსილების მიზეზადა ქცეულა.

ბევრი მაგალითი იკის იმისთანაც, როცა, დამონებული თუ დამონებელზედ განვითარებული გამომდგარა, თავისი ბატონი გაუთქვეფია და თავისი კულტურით გარდაუქმნია (მაგ. ბიზანტია და რომი, დამონებული ბაზაროსთაგან) ასიმილიაცია მოუხდებია.

ქალი კი ყველგან და ყოველთვის დამორჩილებულის როლისა თამაშობს. რა არის მიზეზი ამისი? ისა, რომ უფრო ლონიერ მამაკაცს ეშინია ქალის კონკურენციისა, თუ, როგორც ზოგიერთი გამედულნი ამბობენ: ქალი უფრო მაღლა სდგას და უფრო შორს შეუძლიან წასვლათ და კაცს ამისი ეშინიანო. ეს ზღაპრები, რასაკვირველია, საფუძველს მოკლებულნი არიან, რადგან კონკურენცია იმის

კონკურენცია არის, რომ უკეთესში უნდა გაიმარჯვოს და რაც შეეხება მეორეს — ქალის მაღლა დგომას და შორს წასვლას — ისტორია თვალწიფრ ვეკლის მათი მაღლა დგომის მაგალითებს,

განა იმ უკიდურეს დრო მატერიალურისა ამაზონებისა, როცა ქალები ბატონობდნენ, რატომ ვერ შეინარჩუნეს ვერსად ეს ბატონობა, რატომ ვერ შევქმნეს ისეთი პირობები, რომ განვითარება მათ ხელში ყოფილი კუვეს? განა ისტორიაში ცოტაჯერ არგუნა შემოხვევა ქალებს — გამოსულყვნენ მონობიდგან და აღემართათ დროშა თავისულებისა და შემოქმედებისა? როცა საბერძნებო კულტურულ სიმწიფეს მიაღწია, როცა მისმა ფილოსოფიამ, ხელოვნებამ კაცობრიობა ხე-აღიტაცა და ზოგიერთ მათ შექმნილ დარგს მეცნიერებისას და ხელოვნებისას დღესაც არა ჰყავს მეტოქე მსოფლიო — მაშინ, ჰყტერა — სიმბოლო იყო თავისუფალი ქალისა, რომელსაც ყველგან შეეძლო ყოფნა, ყველაფრისოფის ხელის მოკიდება, მაგრამ ისტორიამ არ შეგვინახა არც ერთი სახელი ქალისა, რომელსაც თვალისაჩინო ადგილი დაცირა კაცობრიობის პროგრესის კიბეზედ. ერთად-ერთმა საფომ მოიხვევა სახელი პოეტისა და უფრო კი... ლესბიელ სიყვარულის ავტორისა. მართალია, ბერძნის კოლები იმავე დროს სახლში ისხდნენ და „მატყლს ირთვენ“, მაგრამ განა ჰყტერა-ქალი, თუ კი მასში სულიერი ძალა მოძებნებოდა, ვერ შეძლებდა თანამშრომელის და მუზის როლი, შემოქმედ როლიდ ეჭცია?

საშუალო საუკუნეებშიაც ერგო წილიდ ქალს პატივისცემა და ნების ყოფა: მის სიტყვის რაინდობისათვის კანონის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ დროსაც ვერ ვხედავთ ჩვენ ვერც ერთ თვალისაჩინო გამომსახველს ქალის ჰენისას გერმანიაში, ძველიდ, ქალი არამთე გათანასწორებული იყო კაცთან, მშიაც კი მასთან ერთად, მხარი-მხართან გადიოდა და ამ ხანიდანაც არც ერთმა „ქალის ისტორიამ“ არ მოაღწია ჩვენამდის.

ილარ შევაწუხებ მკითხველს ამისთანავე უთვალიავ მაგალითებით, — მხოლოდ შევეხები იმ საკითხს, რომელზედაც უმეტესად ამყარებენ თავის საბლოებს ის მწერლები, რომელნიც ქალთა საკითხს შეხებიან (ზებელი, ლილი ბრაუნ, ალექსანდრა მირიალ და სხვანი) მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ჩ ვ ე ნ „ს ა ზ თ გ ა დ ო ე ბ ა თ ა“ მიმოხილვა



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

ნათქვამია, აწყუთ შშობელია მომავალისამ; ამიტომ ვიდრე ჩვენს სურვილებს გამოვთქვამდეთ ქართულ კულტურულ საქმიანობის წინმსვლელობის შესახებ მომავალ 1:13 წლისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადაცავლით ჩვენს ცენტრალურ თბილისის კულტურულ დაწესებულებათ, რათა ცოტათიცაა გავითვალისწინოთ მათი დღევანდელი ვითარება, რომ ამით ჩვენი სურვილებიც მომავალი წლისათვის მათ შესახებ უფრო სრული და საფუძლიანი იყვეს.

ქართულ კულტურულ დაწესებულებათა შორის ერთი უპირველესი ალიგთაგანი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნის, როგორც თვისი ხანგრძლივობით ისე დანიშნულებით, რომელსაც ეს საზოგადოება ემსახურება. უკვე 30 წელზედ მეტია, რაც ხსენებული საზოგადოება არსებობს და ამ ხნის განმავლობაში დარიაჯად უდგა ჩვენს ქართულ სწავლა-აღზრდის საქმეს. თუმცა მისი დანიშნულება უმთავრესად ხალხში პირველდაწყებითი სწავლის გავრცელებაა, მაგრამ საზოგადოებას თავის ხანგრძლივი არსებობის დროს უხდებოდა ძალა უნებურად ეკისრა ბევრი ისეთი ქართული კულტურული საქმე, რაც მის პირდაპირ მიზანს არ შეადგენს, რადგანაც უკანასკნელ ხანებამდის არ მოგვეპოვებოდა ჩვენ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სხვა შესაფერი ორგანიზაციები; მისმა მრავალმხრივმა კულტურულმა საქმიანობამ სამართლიანად დაიმსახურა ყურადღება და ნდობა ჩვენის შეგნებულ საზოგადოების ნაწილისა და ამით ინხსნება ის გარემოება, რომ ყოველგვარი შეწირულება ამ საზოგადოებაში იყრის თავს; მაგრამ ამავე გარემოებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც; სახელდობრ, დატვირთული ბევრგვარი საქმეებით, პირდაპირი მისი მიზანი—ხალხში პირველ დაწყებითი სწავლა-განათლების შეტანა, ჯეროვან ყურადღებას ვერ ლირსებია დღევანდლამდის და მოიკოჭლებს. მიუხდავად იმისა, რომ ამ საზოგადოებამ დღეს მრავალი განყოფილება გახსნა (1912 წლამდის იუნ 14, მიემატა ამ წლის განმავლობაში კიდევ ოთხი: გუდაუთისა, ლიხაურისა, ოჩემჩირისა და სიღნალისა) მაინც პირველ დაწყებითი საქმე შესაფერ ნია-

დაგზედ ვერ არის დაყენებული, სხვა რომ არა ვსოდეთ რა, დღეს მთელი სამი სკოლა უმასწავლებლობ არის და მიუხდავად იმისა რომ საზოგადოების მასწავლებელნი ჯამაგირის მხრივ უზრუნველნი არიან, მაინც არავინ კისრულობს საზოგადოების მასწავლებლობას; ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენში ნამდვილი ქართული იდეური მასწავლებელი იშვიათია და საერთოდ პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელნი მეტად დაბალი ლირსებისანი არიან, ამას მოწმობს სხვათ შორის დასავლეთ საქართველოდან მოსული აშბები, ამ ბოლო დროს, საიდანაც სჩანს, რომ ჩვენი, ტომით ქართველი მასწავლებელნი თვით უწყობენ ხელს რუსიფიკაციის პოლიტიკის. მასწავლებლების ასეთი დაქვეითება მეტად დიდ ყურადღების ღირსად მიგვაჩნია, რადგანაც, თუ ხეირიანი სოფლის მასწავლებელნი არ გვეყოლებიან, საკუთარ სკოლების გახსნა შეიძლება ისე საჭირო არც კი იყვეს. კარგ მასწავლებელს დღევანდელ პირობებში. სამინისტრო სასწავლებლებშიც კი შეუძლიან სასრულებლო საქმის გაკეთება ირამთუ ქართულ სკოლაში. ამიტომ, ჩვენის აზრით, წ. კ. ს. უპირველესად ყოვლისა უნდა ამ გარემოებას აქცევდეს ყურადღებას და სცდილობდეს ისეთ მასწავლებლების მომზადებას, როგორსაც მოითხოვს ჩვენი ცხოვრება, იქნება ეს სოსტატო სემინარის გახსნის სახით თუ სხვა რამენაირად. ეს მით უშეტეს რომ, როგორც ზევითაც დავინახეთ, გახსნილი სკოლები საზოგადოებას უმასწავლებლოდ რჩება. თუ დღევანდლამდის საზოგადოებას რთული, არა პირდაპირი საქმეების გამო, ეპატიებოდა ისეთი უყურადღებობა სოფლის მასწავლებლების მომზადებისადმი, დღეს ეს იღარ ეპატიება, რადგანაც გაიხსნა ბევრი ისეთი საზოგადოება, რომელთაც შეუძლიანთ მოაშორონ შეტი შრომა, თუ კი საზოგადოება ამას მოისურვებს. მასლობელმა კრებებმა ყველას ცხადათ აჩვენეს, რომ მუზეუმი უნდა გადაეცეს მიგოლითად უკვე არსებულ საისტორიო საზოგადოებას და სხ. საერთოდ კი წ. კ. ს. უნდა შემოფარგლოს თავისი მოქმედების პროგრამა და უმთავრესად გამოხატოს ხალხში პირველ დაწყებითი სწავლა განათლების გავრცელებაში: სოფლის მასწავლებლების მომზადებით, სამა-

გალითო სკოლების დარსებით და კითხვა—პასების გამართვით.

ამ შემთხვევაში, დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი მოქმედება ერთი ათად უფრო ნაყოფიერი იქნება.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ქ. ჭ. წ. კ. გ. ს. გამგენი მეტად არიან დატვირთულნი საზოგადოების გარეშე მყოფი საქმითაც და ეს მეტად საჭიანოა და შემაფერხებელი.

ამავე სწავლა-განათლების მიზანს ემსახურება მეორე ჩვენი ქართული საზოგადოებაც: თბილისის გუბერნიის თავ.-აზ. საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. ამ საზოგადოების უკვე 25 წელზედ მეტია რაც თავისი საკუთარი ქართული გიმნაზია აქვს; ამ სასწავლებელმა ჩვენის აზრით, დიდი სარგებლობა მოიტანა და ბევრი მოლვაწეც აღუზარდა ჩვენს ხალხს; ამ სასწავლებლის სარგებლობას შემდეგისათვისაც არა ვყოფთ უარს, მაგრამ დღეს ისეთ მნიშვნელობას ვეღარ მივაწერთ, როგორც თავის დარსების დროს ეძლეოდა, როცა საერთო ხასიათის განათლებას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, დღეს პირობანი შეიცვალნენ, ცხოვრება გართულდა და სულ სხვა ხასიათის სწავლის მოთხოვნილებანი წამოაყენა, და ჩვენც მოვალენი ვართ ანგარიში გაუწიოთ ამ გარემოებას, თუ გვინდა ერთ წერტილზედ არ გავიყინოთ და ცხოვრებას არ ჩამოვრჩეთ. დევ, ქართულმა გიმნაზიამ განაგრძოს თავისი არსებობა, იგი საჭიროა დღევანდელ პირობებში; მიუხედავად იმისა, რომ ქართველებში ბლობად მოიპოვებიან საერთო ხასიათის სწავლა-განათლების მქონენი, მ.ინც ამ სასწავლებელს დღესაც კიდევ მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლიან შესაფერი მიმართულება მისცეს შემდეგშიაც საერთო განათლების მსურველთ; ნაგრამ ამასთანავე დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ამ მიზნისთვის მოელი ჩვენი ქონება ერთ საშუალო სკოლის დავახარჯოთ და პროფესიონალურ და სპეციალურ ხასიათის სკოლები სრულად უყურალებოთ დაფტოვოთ, რომელთა საჭიროებაც დღევანდელმა ცხოვრებამ ბრმათაოვისაც კი ცხად ჰყო. რომ ამ უკანასკნელ მოთხოვნილებასაც ანგარიში გაუწიოთ და ქართული გიმნაზიაც დაუტოვოთ, ამისთვის საჭიროა ქართულ გიმნაზიის ისეთ კალაპოტში ჩაყნება, რაც მისცემს საშუალებას თავისი თავი თვითონ აცხოვროს. ამისთვის შესაფერ საშუალებად მიგვაჩნია სასწავლო ფასის გადიდება, თუმცა სხვა გიმნაზიებზე, მარც ნაკლები,

დევ, ვისაც სურს კლასიკური განათლება, გადიხალის შესაფერი სწავლის ფასი და ისწავლის, მაგრამ ერთს კი უნდა შევეცადნეთ რომ პინა-შენობა გავუნთავისუფლოთ ვალისაგან და მაშინ, რაც ბინა უსასყიდლო ექნებათ, სწავლის ჟაფარაზეც შეიძლება ნაკლები იყვეს და ეს კი უფრო მიიჩიდავს მოსწავლეთ სამინისტრო სასწავლებლიდან ქართულ გიმნაზიაში; დანარჩენი ფული, რაც ქართულ გიმნაზიაზე იხარჯებოდა დღემდის, უნდა მოხმარდეს შემდეგში ამ საზოგადოების მიერვე ახლად დაარსებულ ქალთა სკოლის, რომელსაც ამ შემთხვევაში სპეციალური ხასიათი უნდა მიეცეს და არა კლასიკური, როგორც ამას მოთავენი ჰქონდენ. ვამბობ ქალთა სპეციალურ სკოლის და არა ვაჟთა, რადგანაც დროი თავი დავალწიოთ იმ ყალბ გზას, რომელსაც ყველაფერში აქამდის ვადექით. დამეთანხმებით, რომ კარგად მომზადებული ოჯახის დედა, ყველაფერია სახლში და მას შეუძლიან მხოლოდ იყვეს ერთ-ნულ იღორძინების საფუძველადაც.

ამ მხრივ, ჩემის აზრით, უფრო სწორ გზას ადგანან ქალთა საზოგადოებანი „განათლება“ და „ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომელთაც უკეთ შეუგნიათ დღევანდელი სწავლა-იღზრდის პროფესიონალური ხასიათის ღიღ-მნიშვნელოვანება და ამ მხრივ, ბევრი ცდა და შრომა უტვირთნიათ. ქალები თითქო უფრო მეტი ენერგიასაც იჩენენ და ყოველ წლივ აფართოვებენ თავიანთ საქმეს; წრეულ „ქართველ ქალთა ამხანაგობამ“ მოიმატა ერთი განკუთვილება: ცალკე სამკერვალო; „განათლების“ სასწავლებელმაც მეხუთე კლასი, ყოველნაირ ხელსაჭირო შესასწავლად. იმასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორთავ სასწავლებელში საერთო განათლებასაც საჰაერო ადგილი აქვს დათმო? ილი. „განათლება“ უფრო გიმნაზიის ხასიათისა და პროფესიონალური სწავლა-დამატებითია, ქალთა ამხანაგობის სკოლა კი წმინდა პროფესიონალურია და საერთო საგნებია დამატებითი. ასეთ მიმართულების სასწავლებელთ საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან აქ შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული გრძნობით გამსჭვალულ იღზრდას და შემუშავდეს ტიპი ქართველი ქალისა, რომელიც თავისუფლად გაუძლვება ოჯახს და შთაბერავს ძალას ცხოვრებისას.

სწავლის საქმეს ემსახურება აგრეთვე ჩვენი ერთი საზოგადოებაც მაგრამ ეს სწავლა უფრო სხვა ხასიათისაა — სახელდობრ იგი ემსახურება ჩვენი ეროვნული მუსიკის შესწავლას. ფილარმონიული სა-


ზოგადოება, რომელიც საქართველოს უდგინ სათავეში, ახალვაზდაა და შეძლების და გვარად ემსახურება თავის მიზანს: წელს სხვათა შორის გახსნეს საფორტეპიანო კლასი და მოწაფეთა რიცხვმაც 111-დან 240-დეჭიმატა. წინა წლებში, რამდენადაც ვიცით, ოპერებსაც კი სდგამდა ქართულ ენაზედ, წელს კი ეს აღარუ ყოფილა; კარგი იქნება ირ დაივიწყონ ხოლმე და ყოველ წელს შეძლების და გვარად გა-

მართონ, როგორც ოპერები, ისე ქართული კონცერტები და მარტო საეკკლესიო საგალოობრებით არ განსაზღვროს თავისი მოქმედება.

საქართველო
მისამართი

(შემდეგი იქნება).

ქართული მუზეუმი



ერთი კუთხე მუზეუმისა. პირდაპირ მოსჩანს ისტორიულ პირთა სურათები. პირველ კარა-
დაში გამოფენილია ქათიძი ნატე გაბუნიასი. მეორე კარადა — თბილისის მთქალაქის სადარ-
ბაზო ტანისამოსი. მესამე კარადა — თავ. გთხა ერთსათავის მერანგი აბრეშუმით ნაქსოვი გუ-
ლის პირიანი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

1900 წ. გიორგობისთვის 22-ს ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა ქარ-
თული ისტორიის და მწერლობის მოყვარულო
პატარა წრე. წრის წევრები, რამდენადაც ნებას აძ-
ლევდათ პირობები, შოულობდნენ სახსარს თავის
მოქმედებისათვის, ემსახურებოდნენ თავის მიზანს
და თავისი წვლილი შეჰქონდათ ჩვენი ქვეყნის

ცხოვრებაში. ამ პატარა წრეს შინაურული ხასი-
ათი შეონდა და ოფიციალურად არავისაგან იყო
ცნობილი.

როცა თავისუფლების სიომ დაპერა და ცო-
ტად თუ ბვერად შვება მიეცა ყველას, წრეში იბა-
დება აზრი ახალი საზოგადოების, „საქართველოს
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“, დაარ-


სებისა და ავალებს ორ პირს წესდების შემუშავებას. თაოსნობა ამ საქმეშიაც ექვ. სვ. თაყაიშვილს ეკუთვნის. ბ-ნი თაყაიშვილი ერთი იმ ორ პირთაგანი იყო, რომელთაც დავალებული ჰქონდა წესდების შედგენა წესდებას აღგენს უმთავრესად ისევ ექვ. სვ. თაყაიშვილი, აცნობებს ჯერ თავის პატარა წრეს და მერე ზოგიერთა გავლენიანი პირის დახმარებით ამტკიცებინებს სათანადო მთავრობას 1907 წ. თიბათვის 30-ს.

1908 წ. ენკენისთვის 20-ს ხდება პირველი კრება ახალი საზოგადოებისა; დამსწრე პირები იწერებიან დამფუძნებელ წევრებიდ და ირჩევენ სამი წლით, 9 კაცისაგან შემდგარ საბჭოს, რომელსაც ევალება საზოგადოების საქმის წარმოება. საბჭოს წევრებად სხვათა შორის კრება ირჩევს ექვ. სვ. თაყაიშვილს და ალ. ივ. სარაჯიშვილს—პირველს საზოგადოების და საბჭოს თავმჯდომარედ, და მეორეს-ხაზინადრად, რომელიც შემდეგში მუხეუმის გამგედაც ხდება.

ხსენებული კრებით იწყებს საქართველოს საისტორიო-საენოგრაფიო საზოგადოება თავის მოქმედებას და პროგრესიული ნაბიჯით შინიშაროება წინ.

1910 წელს, შემოდგომაზე საზოგადოება ისევ ძველ წევრებს სტოკებს; ხდება მხოლოდ ცოტადენი ცვლილება, საქმეს ნირი არ ეშლება და ისევ წარმატებაში მიღის.

თავის ხუთი წლის არსებობის დროს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კარგა ბლობა საქმე გააკეთა საბჭოს უნარიან მოქმედებით, მეტადრე უკანასკნელ სამ წელიწადში. გამართა კარგა რიცხვი კრებებისა, რომელზედაც იქმნა წაკითხული რეფერატები, მოაწყო რამდენიმე ექსკურსია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, არქეოლოგიურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალების მოსაკრებად და გაიჩინა თავის წლიური გამოცემები: „საქართველოს სიცელენი,“ რომლებშიაც იბეჭდება სიცელ-გუჯრები და სხვა ძველი საბუთები, და „ძველი საქართველო,“



საინტერესო ჯგუფი ისტორიულ ნივთებისა. შეიქ თეიმურაზ ი ზარბაზანი; ერებუ შეფისა (მარჯვნივ) და სთლ. დეთნიძის (მარცხნივ) ხდმები; თოფი, დამბაჩები და ბებუთი—ალექსანდრე ბატონიშვილისა და უზანგები XII საუკ. (გადმოცემით, დაჭით აღმაშენებლისა).

სადაც იბეჭდება კრებებზე წაკითხული მოხსენებანი და აგრეთვე ეთნოგრაფიული მასალები. უმთავრესი სახსარი საზოგადოების არსებობისა არის შემწეობა, რომელიც ეძლევა თავად-აზნაურობისაგან.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძლვით საზოგადოების წინაშე თავჯდომარეს ექვ. სვ. თაყაიშვილს და მუხეუმის გამგეს ალ. ივ. სარაჯიშვილს.

შეიძლება თამაშად ითქვას, რომ ესენი სულის ჩამდგმელები არიან საზოგადოებისა. ესენი შოულობენ სახსარი საზოგადოების არსებობისას.

ამ ორი პირის მეოხებით მოკლე ხანში საბჭოს წევრებმა ბლობა არქეოლოგიურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნივთს მოუყარეს თავი ერთათ და შეკვენეს ქართული მუზეუმი. მუზეუმში ქვის ხანი-

დან დაწყებული ჩვენ დრომდე; ყველა ხანის ნივთები მოიპოვება: ბევრია იქ პრინცამისი, სპილენძისა, ვერცხლისა და ლითონის ძველებური ნივთები, ქაშანური და მინის ძველებური ქურჭელი, არის შშვენიერი კოლექცია პორტრეტებისა და ეთნოგრაფიულ ტიპებისა, აგრეთვე ფრესკები და ქართულ ხუროთ-მოძღვრობის ნაშთების გეგმები; ბლომადაა ქსოვილები და ბევრი სხვა რამ კიდევ. მუზეუმთანვე მოთავსებულია საზოგადოების წიგნთ-საცავი, სადაც თავი იქვს მოყრილი ბლომად ხელნაწერს და ნაბეჭდ წიგნებს და აუარებელ სიგელ-გუჯრებს.

ინ—ხანი.

P. S. რედაქცია მადლობას უხდის მუზეუმის გამგეთ, რომ ნება დაგვრთენ სურათების გადაღებისა და დაბეჭვდისა. დედ.

სხვისა მასიამოვნებელი

(ჯერომ ვ. ჯერომიდან)

ცხრაშეტი თეისას გული ამოესკვნა ტირილით დიდედა რად არის უარსა და მე არ მაკვებინებს თავის თავს კოვზითაო. ეს ასეთ გარემოების ხალხში მიამბო, რომ ეკვიც არ შემეპარა და დავიჯერე. სამწლინახევრისა წყლით სავსე ქვევრიდან ამოეთრიათ მეტის-მეტად ქანცმილეული; ქვევრში განსაკუთრებული მიზნისათვის ჩასულიყო: შიგ მჯდომ ბაუყისათვის თურმე ცურვა უნდა ესწავლებინა.

ორი წლის უკან კიდევ, როცა კატას მაგალითს უჩვენებდა, ასე უნდა ატარო კნუტები, რომ არა ატკინორაო, მარცხნა თვალი გაითუჭა და კარგახნობამდე იყო ასე დასახიჩრებული. დაახლოვებით ამავე ხანს ფუტკარმაც უკბინა, როცა ერთი უღალო ყვავილიდან მეორე ღალიან ყვავილზე გადაჰყავდა.

დიახ სურვილი ჰქონდა მუდამ სამსახური ეწია სხვისათვისა; თუ გინდ მთელი დილაობით შეეძლო დრო საქათმეში ეტარებინა, ემარტნა საპატიო ხნის ქათმებისათვის, როგორ უნდა მჯდარიყვნენ კვერცხებზე და ეჩეკნად წიწილები. დიდი სიმოვნებით იტყოდა უარს სეირნობაზე, არ წავიდოდა ტყეში ხილის საკრებად, ოღონდაც კი ნება მიგეცათ კაჭლები ემტერია თავის საყვარელ ციყვისათვისა. ჯერ კიდევ შვიდი წლისა არ გამხდარიყო, როცა დედას

ეკამათებოდა ბავშვების მოვლაზე და უჯავრცებოდა მამას, ცუდ წესს აღვილების აღზრდაში.

ბავშვობისას ისე არაფერი აკმაყოფილებდა, როგორც სხვა ბავშვებზე თვალის ფასტეტურაშიც დამიანის მომქანცელ, დიდათ ძნელ მოვალეობას თავისი ნებით კისრულობდა და არცარა ჯილდოს მოელოდა, არცარა მადლობას. მასზე უფროსები იყვნენ ბავშვები თუ უმცროსები, ამას სრულიადაც არა ჰქონდა მნიშვნელობა მისთვის. საცა უნდა ენახა და როცა უნდა ენახა ბავშვები, უთუოდ თავლ-ყურის დევნას დაუწყებდა. აბა რაღა თქმა უნდა ეს ბავშვებს ნაკლებად ჰგვრიდა აღტაცებასა. ერთხელ სასკოლო უქმე დღეს ტყის შორეულ მხრიდან საცოდავი ყვირილი მოისმა; წავიდნენ საქმის გასაგებად და მიწაზე დანარცხებული პოპლტონი კი იპოვეს, ზედ ორის თდენა ბიძაშვილი წამოსჯდომოდა და გვერდებს უბუბნიდა. როცა საცოდავს თავიდან ჭირი მოაშორეს, მასწავლებელმა პკითხა: რატომ პატარებთან არ დარჩი? რას აკეთებდი იქაო?

— მაპატიეთ ბატონო, — გაისმა პასუხი. — მე მასზე „თვალ-ყური მეტირა“.

ნოეზედაც კი „დაიკერდა თვალს“, თუ შენვებოდა სადმე.

გულკეთილი ბიჭი იყო; ამხანაგებს ჰშველოდა: მთელ კლასს რომ მის რვეულიდან ეწერა, ხმას არ ამოიღებდა, პირიქით თვითონვე ეუბნებოდა, გადასწერეთო.

საუკეთესო განზრახვანი ამოძრავებდნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ რვეულები მუდამ შეცდომებითა ჰქონდა სავსე და იქიდან გადმოწერას ძლიერ ცუდი შედეგები მოსდევდა — მერე აშეარად ეტყობოდა, რომ შეცდომები სწორედ პოპლტონისა იყო და სხვა არავისი. ამხანაგებიც, ხომ მოგეხსენებათ ახალგაზღვობის ზერელობა, მარტო გადმოწერის შედეგებითა ჰსაჯავდნენ საქმეს და მოტივებს კი არ დაგიდევდნენ, კარებს უკან უხვდებოდნენ და ჰპენტავლნენ ხოლმე პოპლტონსა.

მთელ თავის ძალ-ღონებს სულ სხვის სწავლის ალევდა პოპლტონი, თავისათვის არაფერს ინარჩუნებდა. მოჰყავდა თავის თახახში უწვერ-ულვაშო ჭაბუკი და მოქსით ცემას ასწავლიდა.


— აბა სცადეთ, გამარტყით ცხვირში, — ეუბნებოდა ახალგაზღებს ბოქსიორის პოზაში გამოჭიმული.

— ნუ გეშინიანთ, გამარტყით რა ძალი და ღონე გაქვთ.

ჭაბუკნიც სცემდნენ რაც ძალი და ღონე პნონდათ. პოპლტონი, რასაკვირველია, მოულოდნელ დარტყმისაგან შტერდებოდა, მაგრამ როცა გონის მოდიოდა და ცხვირიდან წავარდნილ სისხლს უერუცხეტდა ხოლმე ცოტათი მაინც, მაშინვე ეუბნებოდა გამრტყმელებს: ცოტა ისე ვერ გამარტყოთ, როგორც საკირო იყოთ და უჩვენებდა, აი ისე წესიერად რომ გემოქმედნათ ძლიერ აღვილად ავიცდენდი მუშაოს.

გოლფის თამაშობის დროს ახალ მოთამაშეს ბურთის გაკვრას ასწავლიდა და ორჯერ ხედი-ხედ გაიფუქა ფეხი, რის გამოც ერთ კვირაზე მეტი სულ ასკინ კილა დადიოდა. მახსოვს, როგორიცაც მეტ თვითონ ვნახე, კრიკეტს თამაშობდა და მისი შუალა ჯოხი გადააჭირეს იმ დროს როცა მეორე მოთამაშეს უხსნიდა, თუ როგორ შეიძლებოდა უფრო ადვილად გამოტაცება ბურთისა ამის უკან დიდხანი ედავებოდა ერთ გარეშე მაყურებელს, ეს ჯოხშ-

ქართული მუზეუმი



კარადა № 30
შეფე გიორგი XII
რახტი (ვერცხლი-
სა, ფქრთში და-
ფერიდი).

ქართული უნივერსიტეტი, კერტხლით შე-
ქვედილი (შემოწირული მისგანგებელი).

ქადის რახტი
(შემოწირული მ.
ვახ. ქნ. ჯამბა-
ბურთარბეჭია-
ნისა).

მორტყმა და გადაქცევა სათვალიავში არ არის მისაღები.

ერთხელ, როცა აბობოქრებულ ლამანშში მისცურავდა გემით, აღელვებული აქრა საკაპიტნ სადგომზე — უნდა კაპიტნისთვის შეეტყობინებით თავის ჭიუაში, რომ აი ამ წუთს, ორი მილის სიშონ რეზე, მარცხნივ სინათლე დავინახეო. როცა კი ომნიბუსით საღმე წასვლა უხდებოდა, ჩვეულებად ჰქონდა, შეომნიბუსეს ახლოს ჯდებოდა და უთითებდა ითასნაირ დაბრკოლებაზე, რომლებსაც შეეძლო მგზავრობა შეეფერხებინა.

მე თვითონ ის პირადად სწორედ ომნიბუსში გვიცანი. ომნიბუსში ჩემს წინ ორი სეფე-ქალი იჯდა. კონდუქტორმა ფულის მოკრება დაიწყო. ერთმა სეფე-ქალთაგანმა ექვს-პენსიანი მისცა და ბილეთი პიკადილიმდე სთხოვა: სულ უნდა აეღო კონდუქტორს ორი პენსი.

— არა, ჩემო კარგო, — შეპნიშნა მეორე სეფე-ქალმა თავის ამხანავ ქალსა და თან კონდუქტორს შილინგი გაუწოდა. — შენი ექვსი პენსი მმართებს; მომეცი თოხი და შენ მაგივრადაც მე მე მივცემ და ჩემ მაგივრადაც.

კონდუქტორმა გამოართვა შილინგი, მოხია ორი ორ-პენსიანი ბილეთი, მაგრამ გაოცებული გაჩერდა — არ იცოდა, ხურდა რამდენი დაებრუნებინა.

— ჰო, — განაცხადა მეორე ქალმა, — მიეცით ჩემ ამხანავს თოხი პენსი. — (კონდუქტორმა მისცა). — ახლა შენ მე მომე ეგ თოხი პენსი, — (ამხანავმა ქალმაც მისცა). — თქვენ კიდევ. — განაგრძო ქალმა და მიმართა ისევ კონდუქტორს, — მე რვა პენსი მომეცით და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

კონდუქტორმა, ცოტა არ იყოს, უნდობლად მისცა რვა პენსი (ექვს-პენსიანი ფული, რომელიც პირველმა ქალმა მისცა და კიდევ პენი, ორ ნახევარ-ნახევარ პენიანში, რომლებიც აბგიდან ამოილო) და მოშორდა ბუტბუტით — რაღასაც ამბობდა მოვალეობებზე (ფულის ელვისებური სისწრაფით ოვლაზე კი, სწორე მოვახსენოთ არაფერი უთქვამს).

— ეხლა, — მიუბრუნდა უფროსი ქალი უმცროსს, — მე შენ შილინგი უნდა მოგცე.

მეგონა, ინციდენტი ამით გათავდა-მეთქი, მაგრამ ტყუილად.

— ეძერ, კონდუქტორო, — წამოიძახა მკექარე ხმით მწითურმა ვაჟ-კაცმა, რომელიც ჩემ პირდაპირ იყო სკამზე გამოჭიმული, — თქვენ მოატყუეთ ეს სეფე-ქალები, თოხი პენსით ნაკლები მიეცით ხურდა.

— როგორ თუ მოვატყუე და თოხი პენსით ნაკლები მიეცით? — უპასუხა გულმოსულმა კონდუქტორმა, რომელიც კიბის ზევით საფეხურზე იდგა. — ბილეთები თოლო პენსიანია.

— ორი და ორი რვა არ არის, — უპასუხა ცხარეთ მწითურმა ჯენტლემენი. — რამდენი მიეცით, ჩემო კარგო? — მიუბრუნდა ახლა პირველ ქალს და ჰკითხა.

— ექვსი პენსი მიეცით, — უპასუხა ქალმა და ჩახედა პორტმანსა. — მერე კიდევ შენ მოვეცი თოხი პენსი, გახსოვს? — მიუბრუნდა თავის ამხანავს ქალსა და შეეკითხა.

— ძვირად ჯდება, როგორც ეტყობა ორ-პენსიანი მგზავრობა, — დაუმატა უკანა სკამზე მჯდომმა ფუქსავატ გარეგნობის ადამიანმა.

— შეუძლებელია ეგ, ჩემო კარგო, — უპასუხა მეორე ქალმა პირველსა. — ეს ხომ მე მემართა თავდაპირველიდვე შენი ექვსი პენსი.

— მაგრამ მაინც მოგეცი, — ამბობდა თავისის პირველი.

— თქვენ მე შილინგი მომეცით, — სთქვა უკან დაბრუნებულმა კონდუქტორმა და მიმშვირა სალონი თითი უფროსს ქალისაკენ მამხილებელივით.

ქალმა თავი დაუქნია.

— მე თქვენ ხურდათ ექვს-პენსიანი და ორი პენსი მოვეცით არა?

ქალმა კიდევ დაუქნია თავი.

— მათ კი, — სთქვა კონდუქტორმა და გაიშვირა თითი უფრო ახალგაზრდა ქალისაკენ, — თოხი პენსი, მართალია თუ არა?

— რომელიც, გახსოვს, ჩემო კარგო, შენ მოგეცი, — შეპნიშნა უმცროსში ქალმა უფროსსა.

— მაშ თუ მე არა ვარ მოტყუებული და აინახავთ! — წამოიძახა კონდუქტორმა. — თოხი პენსი, მგონი მე გადმომიყოლებია.

— მერე და, მეორე სეფე-ქალმაც ხომ მოქათ ექვს-პენსიანი, — სთქვა მწითურმა ვაჟკაცმა.

— რომელიც აი ამათ მიეცით, — უპასუხა კონდუქტორმა და ისევ გაიშვირა მამხილებელი თითი უფროს ქალისაკენ. — შეგიძლიანთ ჩემი აბგაც გაჩერიკოთ, თუ გსურთ. მეტი აღარა მაქვს ეს დაწყევლილი ექვს-პენსიანი ფული.

ამასობაში ყველას უკვე დაპეიშებოდა, ვის რა მოექმედნა, და თავის თავისა და ერთმანეთის საწინააღმდეგო სიტყვას ამბობდნენ.

საქმის გამორკვევა და გამოსწორება მწითურმა ვაჟკაცმა იკისრა და შედეგად ის მოჰყვა, რომ

სანამ პიკალილის მიუახტევდით, მანამ უკვე სამი თანამგზავრი ემუქრებოდა კონდუქტორს, გიჩივლებთ მაგ უშვერ სიტყვებისათვისათ. კონდუქტორმა კი დევ წეს-რიგის დამცველს დაუძახა და უბრძანა ორივე ქალის გვარი და მისამართი ჩაეწერნა — უნდოდა ოთხი პენსი გადაეხდევინებინა (ქალებს სულითი და გულით ჰსურდათ ოთხი პენსის მიუკრმა, მაგრამ მწითური ვაუკაცი ნებას არ აძლევდა); უმცროსი ქალი იმ რწმენამდე მიყიდა, რომ უფროსს მისი მოტყუება უნდოდა, უფროსი კიდევ ტიროდა.

მე და მწითურმა ჯენტლემენმა სადგურ ჩარინგ-კროსამდე ვიარეთ. კასასთან აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთი და იმავე მხარეს მივემართებოდით. მთელი გზა სულ ოთხ პენსზე მელაპარაკებოდა.

ჩემი სახლის კარებთან თავაზიანად გამომეთხოვა, ხელი ჩამომართო. დიდად ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ მისი ახლო მეზობელი ვიყავი. რა ნახა ჩემში ისეთი, რომ არ მშორდებოდა, ვერ მივხვდი, თუმცა მთელი გზა, რაც ძალი შემწევდა სულ იმას ვცდილობდი, რომ სიტყვა გამეწყვეტინებინა, რადგანაც ძალიან მომაბეჭრა თავი. შემდეგ გავიგე, რომ სხვა ბევრთან ერთად ისეთი თვისებაცა ჰქონდა: ყოველი აღამიანი, რომელიც კი აშკარად შეურაცხოფის არ აყენებდა, ცათაფრენასა ჰგრიდა.

სამი დღის უკან დაუკითხავათ შემოიჭრა ჩემ სამუშაო თოახში (ერთობლივ, თავის თავს ჩემ ახლო მეგობრიადა სთვლიდა) და მთხოვა, ლვთის გულისათვის მაპატიე, რომ ასე გვიან გამოვცხადდიო. მე, აბა რაღა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით აფუსრულე თხოვნა.

— გზაში ფოსტალიონი შემომეყარა და ეს თქვენთვის გადმომცა, — სოჭვა გაცხარებით და მომაწოდა ლურჯი კონვერტი.

საწყალსაყვანო კონტორის განკარგულება იყო ფულების გადახდის შესახებ.

— უნდა პროტესტი განუცხადოთ, — მეუბნებოდა, სტუმარი. — ეს გადასახადი წყლისა ენკენისათვის 29-მდეა. უფლება არა აქვთ, მოგოხოვონ ეს ფულები თიბათვეში.

მე ვუპასუხე, ხომ მაინც საჭიროა წყლის ფულის გადახდა და სულ ერთი არ არის, თიბათვეში მისცემს აღამიანი თუ ენკენისთვეში-მეთქი.

— არა, — მიპასუხა სტუმარმა, — ეს პრინციპიალური საკითხია. აბა რად უნდა გადიხადოთ ფული იმ წყალში, რომელიც ჯერ არ დაგიხარჯავთ? ან რა უფლება აქვთ გამოგართვან ფული, რომელიც ჯერ არა გმართებოთ?

ისე შპერმეტყველურიად ლაპარაკობდა, და მეც იმდენად ტუტუცი ვიყავი, რომ უნდა ვუგდებდი. ნახევარ საათის განმავლობაში მოაწმონდა დამარწმუნა, რომ ეს საკითხი აღამზარქს შეუტყიცელ უფლებასთან იყო გადაბმული ტაქტული გადატყიცელი 14 შილინგს და ათ პენსისა ენკენისთვის მიგიერ თიბათვეში, უთუოდ და უთუოდ ჩემი წინაპრების მიერ სისხლით მოპოვებულ უფლებების არ ლირსს აღამიანდა გადავიქცეოდი.

ასე მითხრა, საწყალსაყვანო საზოგადოებას არავითარი ნიადაგი არა აქვს ფეხ-ქვეშაო. დავუჯერე მეცა, დავჯერი და შეურაცხმყოფელი წერილი მივწერე „საზოგადოების“ დირექტორსა.

„საზოგადოების“ მდივანმა ამგვარი პასუხი მომცა: თქვენ მიერ საქმის ასე დაყენების გამო, ამ საკითხს განვიხილავთ ისე, როგორც საჩივარსა და იმედია, თქვენი რწმუნებულები დაუყონებლივ შეუდგებიან შენი ინტერესების დაცვასათ.

როცა ეს წერილი ვუჩვენე პოპლტონსა, ცა დაეწია სიხარულით.

— მე მომანდეთ ყველაფერი. — სოჭვა პოპლტონმა და წერილი ჯიბეში ჩაიდო. — მე ვაჩვენებ სეირს იმათ!

მართლაცა და, მთელი საქმე იმას მივანდე. ჩემ გასამართლებლად მხოლოდ ერთილა ის შემიძლიან ვსოჭვა, რომ ამ დროს ეგრედ წოდებულ კომიუნი დრამის წერაში ვიყავი გართული და მთელი ჩემი სალი საზრიანობა, რომელიც მე მქონდა კიდევ, ამ საქმეზე იხარჯებოდა.

მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილებამ მე ცოტა არ იყოს გული ამიცრუა, მაგრამ პოპლტონი კი უფრო შეტად გააგულისა. ასე მითხრა, მომრიგებელი მოსამართლეები არაფრის მცოდნე კუუაჩლუნგი ხალხია. ეს საქმე გასარჩევად სახელმწიფო მოსამართლეს უნდა გადაეცეს.

სახელმწიფო მოსამართლე კეთილი მოხუცი აღამიანი აღმოჩნდა. ხელშეკრულობის ქაღალდი ცოტა ბუნდოვანად იცნო, წყალსაყვანის საზოგადოებას მთლიანად არ გადუწყვიტა ნაჩივლი და მე-71 1/3 შილინგითან და 10 პენსთან ერთად 50 გირვანქა სტერლინგზე ცოტათი ნაკლები ფულის გადახდა მომინდა.

ამის უკან მე და პოპლტონის მეგობრობამ კლება იწყო, მაგრამ, რადგანაც ლონდონის ერთი და იმავე შორეულ ადგილის ვსცხოვრობდით, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ამასაც კი ვიტყ-

ვი, შეუხვედრავადაც ბევრი ამბები მესმოდა პოპლ-ტონზე.

განსაკუთრებით თავს იჩენდა ხოლმე პოპლ-ტონი საზოგადოებაში, ყოველნაირ ნაღიშზე, სალა-მოებზე და სხვა ამისთანებზე. ამ დროს არც ერ-თი ადამიანი იმდენ ძალ-ლონეს არა ხარჯავდა ხალხის გასამხიარულებლად, ამასთანავე იმდენ სა-სოწარკვეთილებასა და გულის კვნესას არ ჰგვრიდა, რამდენსაც ჩემი ნამეგობრალი. რამდენადაც გულ-კეთილობისა და მოსიყვარულობის გუნებაზე იქნე-ბოდა პოპლტონი, იმდენად უნდა მოპრიდებოდა კაცი.

როგორდაც შობა დღეს ერთ ჩემ კაი ნაცნობ-თან შევიარე და შემდეგი სურათი წარმომიდგა თვალშინ: 14—15-მდე ხანში შესული მანდილოსანი და ჯენტლემენი დიდის ზეიმით უვლიდა გარს სკა-მებს, რომლებიც სასტუმრო ოთახის შეუ გულში გამოედგათ, და პოპლტონი კიდევ როიალზე უკ-რივდა. დრო და დრო ჩემი ნამეგობრალი უცბად ჩერდებოდა, და უკელანი მძიმედ ეშვებოდნენ ახლო მდგომ სკამების საჯდომებზე, გარდა ერთისა, რო-მელიც ნელ-ნელა იპარებოდა ოთახიდან და დანარ-ჩენები კი შურით თვალს ადევნებდნენ უკან. მე კა-რებთან ვიყავ გაჩერებული და ვუცქეროდა ამ იმ-ბავს, როცა მომიახლოვდა სასტუმროდან გამოპა-რული მოთამაშე. შევეკითხე რას ნიშნავს ესა-მეთქი.

— ნუ მკითხავთ, თუ ლმერთი გწამო, — მიპა-სუხა დაღვრემილმა. — ეს პოპლტონის ერთი დაწ-ყევლილ სისულელეთაგანია. — და გაავზნებულმა და-უმატა. — შემდეგ ახლა ფანტობანა მოგველის.

მოახლე გოგო ხერხიან დროს ეძებდა, რომ ჩემი მოსვლა შეეტყობინებინა. შილინგი მივეცი, რომ ხმა არ იმოელო, და მოვკურცხლე შინისაკენ.

საღილთ უკან პოპლტონს მაძლარისათვის სახელ-დახელო ბალის მითავაზებაც შეეძლო. მაშინვე ან ხალებს აგაზვევინებდათ ან არა და თავისთან ერ-თად როიალს მოელი ოთახის გარს შემოგარები-ნებდათ.

იმდენი თამაშობები იცოდა, რომ თამაშად შე-ეძლო საკუთარი განწმენდის სასახლე დაერსებინა. ვსოდვათ გართული ხართ საინტერესო ლაპარაკში ან ზიხართ პირის-პირ ლამაზ ქალთან და სიამოვ-ნობთ, უცბათ თოვლივით გეცემა თავს პოპლტონი, ვეუბნებათ; მოდით, მოდით ჩემა „ლიტერატუ-რულ ოქმიანობას“, ვთამაშობთო, და როცა მაგიდა-თან მიგიყვანი, გაძლევთ ქალალისა, კარანდაშა,

გიბრძანებთ ამიწერეთ თქვენი საყვარელი ლიტე-რატურული გმირი ქალით, და თვალს გადევნებთ, რომ ყველაფერი შეასრულოთ.

თავისდღეში არ იშურებდა თავისუძრის ტანკის. აცილებდა თავის ნებით ხანში შესულ ქალების რკი-ნის ვზის საღვურზე და თავს არ ანებებდა, ვიდრე მშვიდობით არ ჩასხავდა. . სულ სხვა მატარებელში. ეთამაშებოდა ბავშვებს „გარეულ მხეცობანას“ და ისე აშინებდა საწყლებს, რომ ღამე სულ კრუნ-ჩხვა ემართებოდათ.

მთელ დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიდით პო-პლტონისთანა კეთილ კაცს ისე არ ნახავდა ავალ-მყოფს, რომ თან რაიმე ტკბილეულობა არ მიე-ტანა. ეს ტკბილეულობა ისეთი იყო ხოლმე, რომ ავადმყოფობას უთუოდ აავებდა. არ შეიძლებოდა რომ ზღვაზე სეირნობა არ გაემართა საკუთარ ხარ-ჯით და ისეთი ხილხი არ მიეწვია, რომლებიც ვერ იტანდნენ ზღვას. მოწვეულების ტანჯვას ისე უც-ქეროდა, როგორც სიკეთის დაუნახობასა.

ქორწილების გამართვაც უყვარდა პოპლტონ-სა. ერთხელ ისე მოახერხა, რომ სადედოფლო სა-ნეფოზე სამჩარე | საათით იდრე გამოცხადდა ეკლე-სიაში, რამაც დღე სიხარულისა უსიამოვნო დღედ აქცია. ერთხელ კიდევ მღვდლის მოწვევა დაავიწყდა.

მაგრამ ჩემი ნამეგობრალი მზად იყო ყოველ-ობის თავის შეცდომები ელიარებინა.

დასაფლავებაზედაც თავის ღირსეული აღვილი ეჭირა. დარღით მოკლულ ნათესავებს სამძიმარს ეუბნებოდა მუდამ, კარგია, რომ განსვენებული, გა-დაიცვალოთ და იმედს უცხადებდა, რომ ისენიც მა-ლე თან გაპყვებოდნენ.

მაგრამ პოპლტონი ყველაზე ძლიერ მაშინ გრძნობდა სიამოვნებას, როცა ვისიმე შინაურ საქ-მეებში ერეოდა. არც ერთი ჩხუბი არა ხდებოდა შინაურობაში ისე რამდენიმე მილის სივრცის გარ-შემო, რომ ის არ დასწრებოდა. მოჩხუბართ შო-რის ჩვეულებრივ შუაკაცობასა სწევდა და ისე მო-ჰყავდა საქმე, რომ უნდა უთუოდ უმთავრეს მოწ-მად გამხდარიყო ან მომჩივარ ქალისა ან მომჩივარ ვაჟისა.

უურნალისტი ან პოლიტიკოსი რომ ყოფილიყ, პოპლტონი თავის, გასაოცარ თვისებით, „სხვის საქმეებში გარევით“, დიდ პატივს დაიმსახურებდა თანამოქალაქეებისას, მაგრამ შეცდომა ამ კაცისა სწორედ ის იყო, რომ თავის ნიჭი პრაქტიკაზე ავარჯიშებდა.


ირ. სონდულაშვილი.

მთავარი ამბები 1912 წლისა

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში




ერმანესტი
ვიკტორიუსი



ქართულ ეროვნულ ჯგუფთა ბლოკი და ლ. ანდრონიკაშვილი

ამით სარგებლობენ



კარლო ჩხეიძე და „სოლოლაკის „პროლეტარიატი“

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხეთში

(გადმოღებული სინემატოგრაფიდან)



ხალხი: ჩვენო სასიქადულო მკონიანო... **გიგო და სოსიკო:** გ...მაღლობთ, გ...მაღლობთ...

ლადო ბზვანელი: (სწერს კორესპონდენციას სიგრძით 3,000 მეტრს) ბზ...ზ...ნადიმი...სადილი...
მეჯლისი... სოსიკო, გიგო... სადლეგრძელო.....

(შემდეგი იქნება)

მოგვილოცავს ახალი წელიწადი!

რედაქტორ-გამომცემელ რ. გაბაშვილი

ელექტრომშეკვეთი სტამბა ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

სამეცნიერო-პუბლიკური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მისამართი თბილის მოწერა 1913 წლის აგვისტო.

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებით გამოისცა უმაღლეს სასახლე განდა ზაფხულის თვეს. ჟურნალის იდეალები წერილები, მაგრამ სწავლა-აღზრდის მესახები, აგრეთვე მეცნიერების სხვ. და სხვ. დარგიდან და სიტყვა პაზუდ მწერლისა; აქეს თვიური ჟურნალის ჰერი განვითარებული. ეუროპის მთანალობას იღებენ უკეთი ჩვენი საუკუთხო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ისხურიძეს ჟურნალი აქნება რაღაც განვითარებული, სადაც დაიბულება განვითარებარი ქადაგი ქ. შ. წერა-კოსტების გამარტინებელი საჭრებოების და მისი განვითარების მთავრების მესახები.

წლიური ფასი ჟურნალისა რას თოხი მანეთი (4 გ.) შემდეგ სოფლის მასაჟის და სასოფლო სამ მანეთად. საზღ. გარ, 6 მას. ვინც წლიურ ფასს ჟურნალის ისხურის ბოდომდების გადახდის, სახურად მაიდების განვითარებულის იკუთხებამდების მთავრდად სურათს.

ხელის მთავრის თბილისში: ქართული გიმნაზია, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-გათხოვის საზოგადო წიგნის მანაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორი კურანიშვილისათვის. ბათომშვილი— წაგნის მაც-

ზა „განათლება“. იმ თა აღიღას იყიდება ვალი ნო-
მებული, თათო 40 კუ.

რედაქცია თბილის ხელის მომწოდებელის დოსტანების
მისამართი: თბილის და გურია-გურიანის გიმნაზია-
რის მისამართი.

რედაქტორი ქ. შ. ბოცვაძე.

გიმნაზია-გიმნაზიაში ლ. გ. ბოცვაძე.

ნახატებიან საყმარტილო გურიალ

„ნაკადული“

წელიწადი მეცნიერებების გამოცემა:

ეუროპის გამოცემა ჩვეულებრივ პროგრამით, საგან-
გებოდ ირჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-
ნელობით.

თავი გამოცემა:

მისამართი 24 წიგნი
მისამართი . . . 12 წიგნი

ელიტება წლიური 5 მან., ნახევარ წლით 3 მან.,
ცალ-ცალკე თვითონ გამოცემა 3 მან., საზღვა-
ნიერი 7 მ.

წლიური ხელის მომწოდებელი საჩუქარი.
ხელის მოწერა მისამართი „ნაკადულის“
რედაქციის, გოლომინის პროსპექტი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკადული.
გამოცემელი თავ. 3. ა. ფუმანიშვილი.

Открыта подпись на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

безпартейно-прогрессивный демократический органъ, обслуживающий интересы Закавказского края, безъ различія националистовъ.

(Восьмой годъ издаванія)

ПОДПИСНАЯ ЦЕНЫ

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к. 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40 к., 6 м. 3 р.
5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к., 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к., 1 р. 40 к., 75 к.,
Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подпищиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подпись принимается только съ первого числа каждого мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинского Дворянства (входъ со двора грузинского театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зѣльиша и увеселенія 20 коп.

За многократные объявления скидка.

Объявление о спросѣ и предложении труда, обѣ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к.
каждое. Траурное объявление—4 руб.


Объявление вѣнѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, мясницкай д. Сытна, въ отдѣлѣніяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая
Морская, № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.



ი თ ხ მ ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

პოლიტიკური ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუცილია
1,000,000 გვდრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განკუთილებანი: ბაქოში, ასხა-
ბადში, ტაშკენთში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში,
ალექსანდრიაოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის ჯაჭვალებ-გადმოლება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მიმდინარეობა საზოგადოება „კახე-
თი“ დაარსდა 1894 წელს. სა-
ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-
ხეთის“ საზოგადოების წევრების აკცი
866', დევეტინა ვენახი, სიციათ
უზიდავეს საზოგადოებას ნამ-
დვილ კახურ ღვინოს!

ქალა მრთველები!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო-
ების წევრებად და ამით დაიხსენით
თქვენი სარჩო-საბადებებელი სირაჯ-
ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან
ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-
ხელისთვის ფრიად სასარგებლო
„საზოგადოების“ გაფართოვება—
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-
რების და გამდიდრების მომასწავე-
ბელია.

შპანასენილ დროს საზოგადოების
სამშებაი მოზარიზებული და გამიღებად
დაზიანებულია.

მოითხოვთ საზოგადოების
შესდეგა.